# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 12 სექტემბერი. 2019 წ. №180 (8846) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## კაპიტულაციიდან – „სიყვარულამდე“

# არ დაუჯეროთ ჩამოწერილ, ყარტაყურტა უცხოელ დიპლომატებს!



4

ჩვენი ქვეყნის განვითარება მუდამ დამუხრუჭებული იქნება, სანამ ზუსტად არ განვსაზღვრავთ მართლაც საჭირბოროტო პრიორიტეტებს და არ ვიქნებით დამოკიდებულნი დასავლეთში რაღაც უმნიშვნელო თანამდებობებზე მყოფი ყარტაყურტა „დიპლომატების“ რეკომენდაციებზე.

## საქართველოს დღეს ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ეწვევა



**12-13 სექტემბერს თბილისს ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი მედლინ მუნი ნატოს საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად ეწვევა. საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში მედლინ მუნი შეხვედრებს საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძესთან და თავდაცვის მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან გამართავს.**

საქართველოს პარლამენტში შეხვედრები გაიმართება საქართველო-ნატოს საპარლამენტთაშორისო საბჭოს წევრებთან, საპარლამენტო ფრაქციების და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებთან. მედლინ მუნი ნატოს სამეკავშირეო ოფისისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის მონახულება.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ასევე მოინახულებს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლს სოფელ დიდ ხურვალეთში.

## მსოფლიო „ხელის ჭუჭყში“ იხრჩობა

## უცხოური ინვესტიციების 40 პროცენტი ფიქციაა!!!

## DEUTSCHE WELLE-მ ორჯერ იკადრა უკადრებელი...

8

## ამერიკას კრემლში მაღალი დონის ჯაშუში ჰყავდა - „ნიუ იორკ თაიმსი“

## ნიკა მელიამ კანონი დაარღვია და აქუს ტელევიზიას ინტერვიუ მისცა

**„ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, დეპუტატმა ნიკა მელიამ კანონი დაარღვია. პროკურატურის აკრძალვის მიუხედავად, რომ მას საგამოძიებო ორგანოს გაფრთხილებისა და მისი თანხმობის გარეშე საცხოვრებელი სახლი არ დაეტოვებინა, ბრალდებული ნიკა მელია ტელეკომპანია „კავკასიის“ ერთ-ერთ გადაცემაში სტუმრის სტატუსით მივიდა.**

თავად ნიკა მელია Facebook-ზე გავრცელებულ ვიდეოში ამბობს, რომ ტელეკომპანიაში ვიზიტის შესახებ მისმა ადვოკატმა აცნობა პროკურორს, თუმცა პასუხად კატეგორიული უარი მიიღო. ის განმარტავს, რომ პროკურატურის მითითებები მისთვის მიუღებელი და არაკონსტიტუციურია და რომ ის არ აპირებს თავისი საქმიანობის შეზღუდვას.

გენერალურ პროკურატურაში აცხადებენ, რომ მელიას მიერ ამ დარღვევის ფაქტს შეისწავლიან და შესაბამის სამართლებრივ რეაგირებას მოახდენენ.



27 ივნისს ნიკა მელიას აღკვეთის ღონისძიების სახით 30-ათასლარიანი გირაო შეეფარდა. 26 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მელიას სადეპუტატო იმუნიტეტი შეუჩერა, გენერალურმა პროკურატურამ კი 25 ივნისს მას ბრალი წაუყენა. როგორც პროკურორმა განაცხადა, მელიას მიმართ გამოიკვეთა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.



## ვისია ათობით თითის ანაბეჭდი, თვით ზვიად კორძაძის ხომ არა?

**ინგლისში ჩატარებული ექსპერტიზის შედეგებით, წერილზე ათობით თითის ანაბეჭდია აღმოჩენილი,** – ამის შესახებ „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლების ადვოკატმა ზვიად კორძაძემ განაცხადა.

ადვოკატის თქმით, ექსპერტიზის პასუხებს საგამოძიებო უწყებას წარუდგენს.

**„მივიღეთ ექსპერტიზის შუალედური დასკვნა, დისკეტა, რომელზეც არის ის ანაბეჭდები ასახული, რომელიც გამოავლინა ინგლისის ექსპერტიზამ. ჩვენ, ალბათ, ერთი კვირა დაგვჭირდება, რათა სრული დოკუმენტაცია, რომელიც უნდა წარვადგინოთ პროკურატურაში, მივიღოთ ინგლისიდან. ამ დისკს წარვადგენთ პროკურატურაში. მასზე ათეულობით თითის ანაბეჭდია, დანარჩენი პროკურატურის საქმეა. მან უნდა მოახდინოს ამ ანაბეჭდების იდენტიფიკაცია და შემდეგ გამოკითხოს ეს პირები და დაუსვას ერთი კითხვა, როგორ მოხვდა მათი ანაბეჭდი ამ წერილზე. რადგან ინგლისს არ გააჩნია საქართველოს მოქალაქეების ანაბეჭდების ბაზა, შეუძლებელია ამ ეტაპზე ითქვას ვისი ანაბეჭდია წერილზე“,** – განაცხადა ზვიად კორძაძემ.

„თიბისი ბანკის“ დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ 4 მარტს პარლამენტში საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ, ერთ-ერთი მაღალჩინოსნისგან, გიორგი გახარიასგან მუქარის წერილი მიიღო. მათივე ინფორმაციით, აღნიშნული წერილი ლონდონში ექსპერტიზაზე გაიგზავნა.

**გიორგი გახარიამ რამდენჯერმე განმარტა: არავითარი წერილი არ გამიგზავნია, წერტილი... მეტს ნუ შემეკითხებით!**



# პრემიერ-მინისტრი ევროკავშირის ელჩს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ევროკავშირის ელჩ კარლ ჰარცელთან ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესზე ისაუბრა.**

საქართველოს პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე ორმხრივი თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილეს. ხაზი გაესვა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებების განხორციელების პროცესში მიღწეულ პროგრესს. განსაკუთრებით აღინიშნა ევროკავშირთან დიალოგის უმაღლესი დონის ფორმატის, როგორც უპრეცედენტო და საქართველოსთვის შექმნილი პლატფორმის მნიშვნელობა. პრემიერ-მინისტრის შეფასებით, აღნიშნული ფორმატი ევროკავშირის მხრიდან პოლიტიკური მხარდაჭერის მნიშვნელოვან გზავნილს წარმოადგენს.

**გიორგი გახარიამ ელჩთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ევროპული ღირებულებების ერთგულია და დემოკრატიის კონსოლიდაციისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისკენ მიმართული ძალისხმევა მომავალშიც გაგრძელდება.**

ყურადღება გამახვილდა რეგიონში არსებულ ვითარებაზე და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე. ელჩმა ჰარცელმა შეშფოთება გამოთქვა ე.წ ბორდერიზაციის პროცესსა და მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილებისთვის ბარიერების შექმნის გამო და ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი კიდევ ერთხელ დაადასტურა. პრემიერმა ხაზი გაუსვა ევროკავშირის მონიტორინგის მისიის საქმიანობის როლს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მშვიდობის შენარჩუნებაში და ევროპელ პარტნიორებს მადლობა გადაუხადა.

# ანდერს ფოგ რასმუსენი: გავიდეთ საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხის გარშემო შექმნილი ჩიხიდან



ამის შესახებ ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი სოციალურ ქსელში წერს.

**„საქართველოს შეუძლია, განიხილოს ნატოში გაწევრება არალეგალურად ოკუპირებული ტერიტორიების მეხუთე მუხლით დაფარვის გარეშე. ეს აჩვენებს რუსეთს, რომ გაყინული კონფლიქტების შექმნა სამუდამოდ ვერ გაყინავს საქართველოს მომავალს“,** — წერს ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისა და მაკკეინის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ, რიგით მეხუთე საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც თბილისში გაიმართა, გუშინ ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ უნდა განიხილებოდეს საქართველოს შიგნით, მოისურვებს, თუ არა ისეთი მექანიზმის მიღებას, რომლის მიხედვითაც ნატოს წესდების მეხუთე მუხლი დაფარავს მხოლოდ იმ ტერიტორიას, რომელიც კონტროლირებადია საქართველოს მთავრობის მიერ. ასევე იგივე კითხვას უნდა უპასუხონ ნატოშიც. ამასთან, მისი თქმით, პირველი ნაბიჯი ამ საკითხზე მსჯელობისთვის საქართველოში უნდა გადაიდგას და შემდეგ უნდა წავიდეს ნატოში.

**„ჩვენ პროცესი უნდა დავიწყოთ და თუ ქართველები გადაწყვეტენ, რომ მეხუთე მუხლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ გავრცელდეს, ჩვენ შეგვიძლია ამის მიღება, რომ აღნიშნული მუხლი მხოლოდ საქართველოს მთავრობის კონტროლირებულ ტერიტორიაზე გავრცელდეს. ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია პროცესის დაწყება“,** — განაცხადა ანდერს ფოგ რასმუსენმა.



# ირაკლი ღარიბაშვილი ლორა კუპერს ესაუბრა

**საქართველოსა და აშშ-ის შორის სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერება, საქართველოს ტერიტორიული თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება და აშშ-თან ერთად საერთაშორისო უსაფრთხოებაში საქართველოს წვლილი იყო მთავარი საკითხები, რაც თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ლორა კუპერთან განიხილა.**

საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნის პირველივე სამუშაო კვირას ირაკლი ღარიბაშვილმა პენტაგონის წარმომადგენელს, რუსეთის, უკრაინისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილის თანაშემწეს ლორა კუპერს უმასპინძლა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ჩარჩო-ხელშეკრულების დოკუმენტის განახლების საკითხი განიხილეს, რომელსაც ხელი უახლოეს მომავალში საქართველოს თავდაცვის მინისტრის აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში მოეწერება.

მათივე ცნობით, მინისტრმა ხაზი გაუსვა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობას და ლორა კუპერს აშშ-ის მთავრობის პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მან იმედი გამოთქვა, რომ თავდაცვის სფეროში ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება, გაძლიერდება და მრავლისმომცველი გახდება.

# თეა წულუკიანი სტუმრად აშშ-ის გენერალურ პროკურორთან

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის მინისტრი აშშ-ის გენერალურ პროკურორ უილიამ ბარს შეხვდა. შეხვედრას იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პატარიძე და აშშ-ში საქართველოს ელჩი დავით ბაქრაძე ესწრებოდნენ.**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, თეა წულუკიანმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ვიზიტი აშშ-ში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის დარგობრივი თანამშრომლობისა და სტრატეგიული ურთიერთობების თვალსაზრისით. საქართველოს იუსტიციის მინისტრმა აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტს მადლობა გადაუხადა საქართველოში ოჯახში ძალადობის, ორგანიზებული დანაშაულის, ადამიანით ვაჭრობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერისთვის; იმ ძალისხმევისთვის, რომელსაც აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, პენიტენციური და სამართალდამცავი სისტემის მხარდასაჭერად იჩენდა. თეა წულუკიანმა ხაზი გაუსვა აშშ-ის მხარდაჭერას პენიტენციური და პრობაციის სისტემების სფეროში და ამერიკულ მხარეს ინფორმაცია მიაწოდა ამჟამად საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რეფორმის შესახებ, რომელიც სპეციალური სერვისების შეთავაზებით, პატიმრების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზეა ორიენტირებული. თეა წულუკიანმა აგრეთვე ისაუბრა ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ექსტრადიციის სფეროში.



# გია ვოლსკი: ვიღაც ეცადა, წარმოეჩინა, თითქოს რასმუსენს ან ნატოს კითხვის ნიშანი აქვთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით

**„სასიხარულოდ, ამ თემამ განვითარება ვერ პოვა. რაც შეეხება მეხუთე მუხლის გარეშე ნატოს წევრობას, ეს თემა ხვალვე გადაწყდება, თუ ნატოს წევრი ქვეყნები ამაზე თანხმობას გამოაცხადებენ და სათანადო მუშაობა იქნება იმისათვის, რომ მას დაძაბულობის გაღვივება არ მოჰყვეს. ამ საკითხს მხოლოდ საქართველო არ წყვეტს, პარტნიორებთან კონსულტაციებია საჭირო ამ გადაწყვეტილების რეალობასთან დაკავშირებით“, — განაცხადა უმრავლესობის ლიდერმა.**

დეპუტატის შეფასებით, ნებისმიერი თემის კითხვების გარეშე მიღება საზოგადოებას არ უნდა ახასიათებდეს არც საქართველოში და არც საფრანგეთში.

**„ოპონენტებს პასუხისმგებლობა არაფერზე აქვთ. ერთადერთი მიზანია, როგორმე დაძაბულობა და სტრესი შემოიტანონ საზოგადოებაში. ამაზე ინტენსიური კონსულტაციები რომც მიდიოდეს, ბევრი საკითხია, რაზეც ასეთ დესტრუქციულ ოპოზიციასთან არავითარი ანგარიშვალდებულება არ გვაქვს. თემა დაისვა, ეს საკითხი ახალი არ არის“...**

# ახალი ელჩები უკრაინაში, ქუვეითსა და ვატიკანში

**უკრაინაში, ქუვეითის სახელმწიფოსა და ვატიკანში საქართველოს ახალი ელჩები ჰყავს.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად თეიმურაზ შარაშენიძე, ქუვეითში — კონსტანტინე ჟღენტი, ხოლო ვატიკანში ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანელი დაინიშნა.

# ივა ჭყონია: ...ამაზე მძიმე მდგომარეობა ისაა, ვიღაც გამოვიდეს და თავი მოიკლას, რომ გაკოტრდა!



**საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს-ასოციაციის თავმჯდომარე ივა ჭყონია ლარის კვლავ გაუფასურებას ეხმიანება და ამბობს, რომ ბიზნესი ურთულეს მდგომარეობაშია. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნეს უჭირს და ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში ბევრი მათგანი წნეხს ვეღარ გაუძლებს.**

ივა ჭყონიას თქმით, ლარის გაუფასურებით ზარალდება ბიზნესი და ღარიბდება მოსახლეობა. ასეთ დროს პირდაპირი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება:

**„ამაზე მძიმე მდგომარეობა არის ის,რომ ვიღაც გამოვიდეს და თავი მოიკლას, რომ გაკოტრდა. დაახლოებით მესამე წელია, მიწევს ამ თემაზე საუბარი. არა თუ მძიმე, არამედ ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ფასების ზრდის პირველი ტალღა დაიწყო ივლისის ბოლოს, აგვისტოს დასაწყისში. სექტემბრის პირველ ნახევარში, ათ სექტემბრამდე ძირითადად ყველგან აისახება ზრდა. ნებისმიერი, ვინც დადის სუპერმარკეტში ნახავს,რომ გაძვირებულია ფასები 10-დან 15%-მდე. დამერწმუნეთ, რომ დოლარი 3.0 ლარს თუ გადასცდა, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებიან კომპანიები. მსყიდველობითუნარიანობა საკმაოდ დავარდნილია, სამომხმარებლო კალათა იზრდება და ხელფასი იგივეა“,** — განმარტავს ივა ჭყონია.

მისივე თქმით, დღეს საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილს სესხი აქვს აღებული, მსგავს არასტაბილურ მდგომაროებაში კი ეს საკითხი უფრო პრობლემური ხდება.

მეორე მხრივ, მოქალაქეები ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები დახარჯონ ფუფუნების საგნებსა და პროდუქტზე, რაც ძალიან რთულია კომპანიებისთვის. როდესაც რეალიზაცია ვარდება, ბიზნესი წნეხს ან გაუძლებს, ან ვერ გაუძლებს: **„თავს რომ იწონებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ბიზნესსესხებია გაზრდილიო. სწორი თქვა, არის გაზრდილი, თუმცა რა კუთხით ? — ბიზნესსესხები გაზრდილია იმისთვის, რომ კომპანიებმა შეინარჩუნონ თავი და არ დაკარგონ პოზიციები, გაისტუმრონ ის ვალდებულებები, რომლებიც აქვთ. მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ეს ყოველივე მომაკვდინებელია.**

**ამასთან, ჯაჭვურად ლარის რყევები მიბმულია ბანკებზე, რადგან ყველა ბიზნესსექტორი სარგებლობს საბანკო კრედიტით. ამ ვალდებულებების უკან კი დგას უძრავი ქონება. წარმოიდგინეთ, რამდენად მძიმე სიტუაციაში შეიძლება ჩავარდეს ბიზნესი? რამდენად პრობლემატურია უკვე ის, რომ კომპანია ვერ გაუძლებს, გაკოტრდება და თანამშრომლებს შეამცირებს. პირველ ეტაპზე ყოველთვის ცდილობენ, რომ შეამცირონ თანამშრომლები და შეუმცირონ ხელფასები.**

ლარის გაუფასურებით ბიზნესზე ასახული პრობლემები საბანკო სექტორისთვისაც გამოწვევა ხდება: **„როდესაც ასეთი მძიმე მდგომარეობაა, ბევრი ბიზნესი გაკოტრდება და ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებებით დარჩება. ბანკს კი მოუწევს აღსრულება და ქონების რეალიზება, ამიტომ საბანკო სექტორზეც ნეგატიურად აისახება ეს ყოველივე. ფაქტია, ბანკებისთვის არასდროსაა მომგებიანი უძრავი ქონების ხელში ჩაგდება და პარალელურ რეჟიმში თავად უძრავ ქონებასაც აღნიშნული სქემა და მოდელი აუფასურებს.**

ამ რეალობაზე პასუხისმგებლობას ივა ჭყონია ხელისუფლებლას აკისრებს. არსებული ჯაჭვური პრობლემების მოგვარებას, პირველ რიგში, ლარის დასტაბილურება სჭირდება. თუმცა მთავრობა განსხვავებულად მოქმედებს, ამიტომ ბიზნესის მხარდაჭერის იმედი ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს:

**„როდესაც საპროტესტო აქცია ასეთ ეკონომიკურ რყევას იწვევს და ამაზე აპელირებს სახელმწიფო და არ მოქმედებს, ძალიან არაკომპეტენტური განცხადებაა. ამის შემდეგ, სახელმწიფოს არ უნდა უკვირდეს ბიზნესის მხრიდან ნდობის არქონა და შიში. ეს ნეგატიური მოლოდინები ქმნის იმას, რომ ვიღაც წინასწარ ყიდულობს დოლარს და ა.შ.**

ნეგატიურ მოლოდინს ქმნის თავად ხელისუფლება, რომელიც არის ჩვენ მიერ არჩეული. ბიუჯეტში ფულს ვიხდით და სარგებელს ისინი ნახულობენ. ბიზნესისთვის კი — ოპერატორებისთვის, იმპორტიორებისთვის, მწარმოებლებისთვის მთავარი საზომი არის ლარის კურსი.

დღესდღეობით კერძო სექტორისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმვა კი არა, სამი თვის დაგეგმვაა უკვე რთული, ისე სწრაფად ხდება რყევები. როცა 2019 წელს ბიუჯეტი 2.3-ზე დაიგეგმა, როგორ წარმოგიდგენიათ, ამ რეალურად ძალიან დიდი კონკურენციის პირობებში, მაქსიმალური ვისაც შეეძლო აეღო 2.7 იყო, ისე ტრიალებდა 2.65-67 შორის“.

ხელისუფლების გარდა, დისტრიბუტორთა ბიზნესასოციაციის თავმჯდომარე პასუხისმგებლობას ეროვნულ ბანკსაც აკისრებს: **„ბოლო წლების განმავლობაში ლარი გაუფასურებას ყოველთვის იწყებდა ამ პერიოდში, ან ცოტა მოგვიანებით. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ფაქტორი, რაც ლარის გაუფასურებას იწვევს, მეოთხე კვარტალში მთავრობის მიერ გადახდილი ვალდებულებებია. სატენდერო სამუშაოების დროს არის შემთხვევები, როცა საბანკო გარანტიით მოაქვთ პროდუქცია და შემდეგ ამ ვალდებულებებს იხდიან უცხოურ ვალუტაში. ეს ლოგიკურად კიდევ უფრო აუფასურებს ლარს. ამიტომ ეკონომიკური გუნდი ვალდებულია, შიდა ფაქტორებზე იზრუნოს.**

ამ მძიმე ეკონომიკური ფონის პარალელურად, ეროვნული ბანკი უცხოურ ვალუტას იძენს და შემდეგ ხდება მისი ამოღება საბრუნავი საშუალებებიდან — ეს ყოველივე უნდა იყოს სისხლის სამართლის დანაშაული. ეს კლავს მცირე და საშუალო ბიზნესს“.

* * *

**კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, ლარმა მორიგი გაუფასურება რამდენიმე დღის წინათ დაიწყო. ეროვნული ბანკის მონაცემებით 1 აშშ დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.9598 ლარი გახდა.**

**რაც შეეხება, კომერციულ ბანკებს, ერთი აშშ დოლარის ღირებულება 3 ლარსაც აჭარბებს.**

**დიახ, დიახ, სამ ლარსაც აჭარბებს!..**

## 20-მდე სკოლაში შესაძლოა, სწავლის დაწყება ორი კვირით გადაიდოს

ამის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული.

უწყება განმარტავს, რომ ამის მიზეზი სკოლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებია.

**„16 სექტემბერს საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი დაიწყება. ახალი სასწავლო წლისთვის სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია მთელ საქართველოში უპრეცედენტო მასშტაბით, 700-მდე სკოლაში განხორციელდა.**

**მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან გამომდინარე, საქართველოს მასშტაბით სასწავლო პროცესის დაწყების თარიღმა ერთეულ შემთხვევებში (20-მდე სკოლაში) შესაძლოა, ორი კვირით მხოლოდ გადაიწიოს. ასეთ სკოლებში გაკვეთილები შესაბამისი საგაკვეთილო ცხრილით, შაბათი დღის ხარჯზე ანაზღაურდება.**

**ამასთან, როგორც საქართველოს პირველ არხს განათლების სამინისტროში განუცხადეს, ჯერჯერობით საბოლოო სია, რომელ სკოლებში გადაიდება სწავლის დაწყება, არ მოუმზადებიათ და ის უახლოეს პერიოდში სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე აიტვირთება.**

**ნუ გეშინიათ, მევენახეებო!**

## ლევან დავითაშვილი: რთველი წელსაც წარმატებული იქნება! სახელმწიფოს ყველა რესურსი მაქსიმალურად მობილიზებულია




გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ლევან დავითაშვილის განცხადებით, ქვეყანაში ივნისში განვითარებულმა მოვლენებმა ღვინის კომპანიების მოლოდინები შეცვალა, თუმცა, სახელმწიფოს ყველა რესურსი აქვს მობილიზებული — მევენახეებს ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩებათ.

**„სპეკულაციები ყურძენზე ფასის კლებასთან დაკავშირებით, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური ძალების ან მიზანმიმართულად არასწორად ინფორმირებული მევენახეების მხრიდან მოდის და სრულიად უსაფუძვლოა. სახელმწიფოს ყველა რესურსი მობილიზებული აქვს, მევენახეებს ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩებათ. სახელმწიფოს მიერ დაქირავებული ქარხნები გახსნილია მთელი კახეთის მასშტაბით, რაც იმის გარანტიაა, რომ ყურძნის ჩაბარების პრობლემა არ იქნება. ფასებს რაც შეეხება, წელს შარშანდელ მინიმალურ ფასზე ქვემოთ ფასები არ ჩამოსულა. მოგეხსენებათ, ბოლო წლებია, ყურძენზე ფიქსირებული ფასი აღარ არსებობს. მიკროზონების, ხარისხის, სახეობის მიხედვით ყურძნის ფასი არის სხვადასხვა. მათ შორის, საფერავის ფასი არის მინიმუმ ლარნახევარი, ორი ლარი ან მეტი ადგილწარმოშობის მიხედვით, რაც მაღალია ყველა წინა წელთან შედარებით. თუ არ ჩავთვლით 2018 წელს, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებულად მაღალი მოთხოვნით და რეკორდული ფასებით. შარშანაც რქაწითელთან დაკავშირებით ჩვენ სუბსიდიის რეჟიმიდან გამოვედით, მაგრამ ჩაუბარებელი ყურძენი არ დავტოვეთ. მინიმალური სტანდარტი სახელმწიფომ შექმნა იმ არაკონდიციურ ყურძენზე, რომელსაც ჩაბარების პრობლემა ჰქონდა და 70 თეთრი ღირდა. წელს ვითარება ანალოგიურია, ამიტომ სპეკულაციები ფასის კლებასთან დაკავშირებით არის აბსოლუტურად უსაფუძვლო“,** — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

## ელექტროენერგიის ტარიფები ამ ეტაპზე არ შეიცვლება!

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) განცხადებას ავრცელებს და განმარტავს, რომ კომისიაში ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფების გადახედვის პროცესი ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს.

„სემეკში ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფების გადახედვის პროცესი ამჟამად არ მიმდინარეობს.

ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფების შესახებ ზოგიერთ მედიასაშუალებაში გასული არასწორი ინფორმაციიდან გამომდინარე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ კომისიაში ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფების გადახედვის პროცესი ამ ეტაპზე საერთოდ არ მიმდინარეობს — სამომხმარებლო ტარიფები დადგენილია 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფების არაგეგმურად გადახედვის მოთხოვნით ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიების მიერ სატარიფო განაცხადები კომისიაში წარმოდგენილი არ არის.



რაც შეეხება ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფებს, დღეისათვის კომისიაში ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფების დადგენის გეგმური პროცესი მიმდინარეობს, რაც განპირობებულია იმით, რომ ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი კომპანიებისათვის დღეს მოქმედი ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფები დადგენილია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით“, — აღნიშნულია განცხადებაში.



# არ დაუჯეროთ ჩამოწერილ, ყარტაყურტა უცხოელ დიპლომატებს!

**„თბილისის საერთაშორისო კონფერენცია Now What“ 2015 წელს დაარსდა ორგანიზაციების – „მაკკეინის ინსტიტუტი საერთაშორისო ლიდერობისთვის“ და „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ მიერ. მეხუთე წელია, თბილისი ამ შეხვედრებს მასპინძლობს.**

**2019 წლის კონფერენცია – Now What? – 9 სექტემბერს გაიხსნა.**

არ შეგახსენებთ კონფერენციის მიმდინარეობის პირველ დღეს, როდესაც სპიკერატში უცხოელ სტუმრებთან ერთად, გიგა ბოკერია და სალომე სამადაშვილი ისხდნენ და თავიანთი ე.წ. „პოლიტიკური გემოვნების“ მიხედვით წარმართავდნენ ღონისძიებას.

დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველმა კარგად იცის ამ ორი არამზადის „პოლიტიკური გემოვნების“ შესახებ და ამიტომ არც იმას დავამატებ, რომ მათი გამოსვლები, თუ რეპლიკები მთლიანად ტყუილზე, ცილისწამებასა და საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ფრაზებზე იყო აგებული.

10 სექტემბერს კონფერენციაზე საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი მივიდა, რომლის მიზანი იყო, უცხოელი სტუმრების წინაშე ეთქვა სიმართლე და ეჩვენებინა გიგა ბოკერიას ნამდვილი სახე. სამწუხაროდ, ვინმე დევიდ კრამერმა პროვოკაციის მოწყობა სცადა და ნებისმიერი რანგის დიპლომატისთვის მიუღებელი ხერხით სცადა ქვეყნის პარლამენტის ერთ-ერთი ლიდერის დარბაზიდან გაყვანა.

ბუნებრივია, ამ ინციდენტს საკმაოდ სერიოზული გამოხმაურებები მოჰყვა. აგრესიულ-ლიბერალურად განწყობილმა პოლიტიკოსებმა და მედიამ, აშკარად დაამახინჯეს განვითარებული მოვლენები და ფაქტობრივად, საქართველოს მთელი მოსახლეობა ბნელ, ჩამორჩენილ და რუსული ნარატივის მომხრედ გამოიყვანეს.

ამ ყველაფრის შემდეგ გამიჩნდა რამდენიმე ლეგიტიმური შეკითხვა, რომლებიც პასუხის გაცემას მოითხოვს:

**1. რა გავლენები და რა შესაძლებლობები გააჩნიათ იმ სუბიექტებს, რომლებიც ეს ორი დღეა, სასტუმრო „რუმსში“ კონფერენციას ატარებდნენ და, ფაქტობრივად საქართველოს სახელმწიფოს მომავალი მოქმედების გზაზე „რეკომენდაციებს“ იძლევიან იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომელთა წინაშეც დღეს ვდგავართ?**

**2. აქვთ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გიგა ბოკერია, რომელიც „პრეზიდიუმში“ მათ გვერდით იჯდა, იყო ე.წ. „ციხის ბუნტის“ სისხლიანი დარბევის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და რომ მის წინააღმდეგ არსებობს წამების შედეგად გარდაცვლილი სულხან მოლაშვილის ტელეაღიარება?**

**3. რატომ არ არის ოფიციალური განცხადება ვინმე კრამერის მხრიდან სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის მიმართ უხეში მიმართვის გამო?**

**4. კოჰაბიტაციის დამთავრება როდის იწყება?**

**5. კოჰაბიტაცია „სიყვარულში“ ხომ არ „გადადის“?**

**6. როდემდე უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო ამ მარაზმში?**

ჟურნალისტი ბონდო მძინარაშვილი სოციალურ ქსელში შემდეგი სახის პოსტს აქვეყნებს:

**„არ ვიცოდი, ვინ იყო ქალი, რომელიც მოვიდა და, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი, რომ ის „პატრიოტთა ალიანსიდანაა“ და ასევე, ვიცე-სპიკერია“,** – განაცხადა გონსმოსულმა დევიდ კრემერმა, რომელიც გამოერკვა და მიხვდა, რომ უგუნურად მოიქცა.

არადა, იცნობს და ისიც იცის, ვინ არის ირმა ინაშვილი.

სოციალურ ქსელში არსებობს ფოტო, რომელიც 2010 წელს ვაშინგტონში, კრემერის ოფისშია გადაღებული, ადასტურებს, რომ დევიდ კრემერი ირმა ინაშვილს არა მხოლოდ იცნობს, არამედ საკუთარ ოფისშიც მასპინძლობდა.

კრემერს ან მეხსიერების პრობლემა აქვს, ანდა ჩავარდა. დაახლოებით ისეთი ჩავარდნა, როგორის მნახველიც მთელი ქვეყანა გავხდით“, – წერს მძინარაშვილი.

გთავაზობთ IRI-ის ყოფილი დირექტორის, Palm Strategies-ის პრეზიდენტის ჯო ჯონსონის სტატიის ქართულ თარგმანს:

**„მე მქონდა ბედნიერება მეცხოვრა და მემუშავა საქართველოში. ჩემმა სამსახურებრივმა მოვალეობებმა ძალიან კარგად გამაცნო ქართველი ხალხი და მათი სითბო.**

**ამავდროულად, ვნახე ქართველი ხალხის სწრაფვა, როდესაც მათ აიძულებენ, დაიცვან თავიანთი ღირსება.**

**ჩვენ შეგვიძლია მთელი დღის განმავლობაში ვიმსჯელოთ, სწორი იყო თუ არა პარლამენტის ვიცე-სპიკერის (ქალბატონი ირმა ინაშვილის) ქმედება, როდესაც დაურეგისტრირებლად ეწვია კონფერენციას, მაგრამ ეს არ არის მთავარი.**

**რაც შემზარავია ჩემთვის, არის ის, თუ როგორ დაკარგა თავშეკავება გამოცდილმა ამერიკელმა დიპლომატმა და უკან დასწია თავისივე დიპლომატიური მიღწევები მათ თვალში, ვის აზრსაც აქვს ყველაზე დიდი მნიშვნელობა – ქართველი ხალხის თვალში.**

**ჩემი აზრით, ეს არის მთავარი არსი. ერთი ნაბიჯი წინ – ორი უკან, – არ არის მომგებიანი სვლა არანაირ დიპლომატიაში.**

რაც შეეხება თავად ირმა ინაშვილს, მან ამ თემაზე ინგა გრიგოლიას გადაცემა „რეაქციაში“ ისაუბრა. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ამ გადაცემიდან:

**„ის კონტექსტი, რაზეც თქვენ საუბრობთ, რომ თურმე უამრავმა ადამიანმა ჩემს ქმედებაში დაინახა პუტინის და კრემლის გეგმები, ეს არ მიმაჩნია სწორად, რადგან საზოგადოებრივი განწყობები სულ სხვაა. საზოგადოების უმრავლესობა ნათლად ხედავდა დღეს, რომ არ მიეცა საშუალება კონფერენციაზე დასწრების, საქართველოს დეპუტატს და ამ შემთხვევაში მარტო მე კი არ შემიზღუდეს მონაწილეობის უფლება. მე როგორც ქართველი ხალხის წარმომადგენელს, შემდეგ ისე მიპასუხეს.**

**მე არავითარი პროვოკაცია არ მომიწყვია და ეს აბსურდია. საერთოდ არ ვაპირებდი მისვლას კონფერენციაზე. ნებისმიერ ორგანიზაციას აქვს უფლება, რომ თუნდაც დახურული კონფერენცია მოაწყოს“,** – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

გადაცემის წამყვანის კითხვაზე, მაშინ როდესაც არ იყო მიწვეული კონფერენციაზე და არ ჰქონდა რეგისტრაცია გავლილი, რამდენად იყო ეს ქართული საქმე და რამდენად ემსახურებოდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს? – ინაშვილმა ასე უპასუხა:

**„– ასე მგონია, რომ ახლა გრძელდება ბოკერიას სტილში საუბარი და ინგა ამას არ გირჩევთ. – არ მირჩევთ რას ნიშნავს, მე არ ვსაუბრობ ბოკერიას სტილში, მე გისვამთ იმ კითხვას, რაც მაქვს, – უბრალოდ არ გირჩევთ. არ მინდა ახლა ჩხუბი... გრძელდება ბოკერიას პათოსით საუბარი. – მე თქვენი გამოსვლა პირდაპირ ეთერში გადავეცი და მე რომ რამის მიჩქმალვა მდომოდა, ამას არ გავაკეთებდი. მე არ ვარ გიგა ბოკერია, მე ვარ ინგა გრიგოლია და გისმენთ. – მეც ირმა ინაშვილი ვარ და არ ვარ კრემლის აგენტი, მე ვარ საქართველოს მოქალაქე და საქართველოს პატრიოტი. ნუ ცდილობთ ბოკერიას სტილში იარლიყების მიკერებას. ვინ გითხრათ, რომ ადვილად მოვიპოვე იქ მიკროფონი და ვინ გითხრათ, რომ იქ სიტყვას მაძლევდნენ?! არავინ აპირებდა ჩემთვის დროის დათმობას“,** – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

* * *

რაც შეეხება საქართველოს ნატოში გაწევრების გამო, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მეხუთე მუხლის გავრცელებაზე უარის თქმას, გთავაზობთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჯეიმს აპატურაის მიერ 2018 წლის 7 მარტს გაკეთებულ განცხადებას:

**„გულწრფელად რომ გითხრათ, არ არის სასარგებლო და რეალისტური, ვიმსჯელოთ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრებაზე მეხუთე მუხლის გარეშე ან მისი ნაწილობრივი ამოქმედების პირობით გაწევრებაზე. „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის“ მიერ წარმოდგენილი წინადადება შეიცავს და დაკავშირებულია სირთულეებთან, ძალიან ბევრ შესაძლო სირთულესთან.**

**აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ არ არის რეალისტური, ხალხმა ამ თემაზე იფიქროს და იმსჯელოს. ალიანსის წევრი ქვეყნების ყურადღება კონცენტრირებულია ქართული რეფორმების მხარდაჭერაზე. ეს არის საკითხი, რაზეც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრ სახელმწიფოებს კონსენსუსი მიღწეული აქვთ. „ჰერითიჯფაუნდეიშენის“ მიმართ პატივისცემის მიუხედავად, არ არის კარგი იდეა და მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, რომ გაჩნდეს ამ სცენარის ირგვლივ მოლოდინი საზოგადოებაში“.**

ბევრს აღარ გავაგრძელებ და უბრალოდ ვიტყვი, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარება მუდამ დამუხრუჭებული იქნება, სანამ ზუსტად არ განვსაზღვრავთ მართლაც საჭირბოროტო პრიორიტეტებს და არ ვიქნებით დამოკიდებული დასავლეთში ოდესმე რაღაც უმნიშვნელო თანამდებობებზე მყოფი ყარტაყურტა „დიპლომატების“ რეკომენდაციებზე.



**გია გაბრიჭიძე**

## „რუსთავი-2“ ყოფილ თანამშრომლებს კიბერდანაშაულში სდებენ ბრალს

„რუსთავი-2“ ყოფილ თანამშრომლებს კიბერდანაშაულში სდებს ბრალს. „უკვე რამდენიმე დღეა, „რუსთავი-2“-ის „Facebook“ გვერდზე სისტემატურად ჩნდება პოსტები, რომელსაც სამაუწყებლო კომპანიის ასიათასობით მომხმარებლი შეცდომაში შეჰყავს.




„რუსთავი-2“-ს სურს, შეატყობინოს საზოგადოებას, რომ მიუხედავად არაერთი კანონიერი მოთხოვნისა, არხი ამ დრომდე ვერ ახერხებს საინფორმაციო სამსახურის ყოფილი უფროსისგან დაიბრუნოს ადმინისტრატორის უფლებები.

ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი პაატა სალია აცხადებს, რომ აღნიშნულის შესახებ უკვე ეცნობა სოციალური ქსელის ადმინისტრაციას და დაწყებულია შესაბამისი პროცედურები.

სალიას თქმით, თავად ყოფილი საინფორმაციო სამსახურის უფროსის ქმედებები არის უპასუხისმგებლო და შესაძლოა, შეიცავდეს კიბერდანაშულის ნიშნებს“, – ნათქვამია „რუსთავი-2“-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ტელეკომპანიის განცხადებას, სოციალურ ქსელში არხის ყოფილი ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი ეხმაურება. ჟორჟოლიანი პაატა სალიას სახელფასო დავალიანებას ახსენებს.

„ბატონო პაატა, უპასუხისმგებლობა არის სახელფასო დავალიანება, რომელიც გაგაჩნიათ ყოფილი თანამშრომლების მიმართ! და უფრო მეტად სამარცხვინოა, რომ პოლიტიკური სიმპათიებით არჩევდით ვისთვის უნდა ჩაგერიცხათ კუთვნილი ხელფასი. ალბათ უკვე გაიგებდით, რომ შევხვდებით სასამართლოში“, – წერს ნანუკა ჟორჟოლიანი.

შეგახსენებთ, „რუსთავი-2“-ზე ამ დრომდე არ გადის არც საინფორმაციო და არც სხვა გადაცემები. როგორც არხის ახალმა დირექტორმა პაატა სალიამ „2020NEWS“-თან საუბარში განაცხადა, საინფორმაციო ბადე 16 სექტემბერს განახლდება.

# სიცოცხლის ქალაქმა „მკვდარ საქმეთა“ გაცოცხლება დაიწყო!

## კახა კალაძემ ლევან ხაბეიშვილი გააფარჩაკა...

**დედაქალაქის მთავრობის სხდომის შემდეგ თბილისის მერ კახა კალაძესა და თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ლევან ხაბეიშვილს შორის შელაპარაკება მოხდა.**

ლევან ხაბეიშვილის თქმით, მთავრობის სხდომაზე დასწრებას ითხოვდა, რაზეც უარი უთხრეს. ხაბეიშვილი სხდომის დასრულებას დერეფანში ელოდებოდა, რათა დედაქალაქის მერს შეხვედროდა.

**„ბატონო კახი, კითხვების რატომ გეშინიათ? 153 ათას ლარს თქვენი ოთახის გარემონტებაში რატომ იხდით? გორგოლაჭებიანი სკამების ყიდვა რომ გინდათ, ნორმალურია? ბოდიში მოუხადეთ დედაქალაქის მოსახლეობას, რომ გაყვლიფეთ ბიუჯეტი“**, — მიმართა ლევან ხაბეიშვილმა კახა კალაძეს.

თბილისის მერმა ლევან ხაბეიშვილს მიმართა: **„ვიდრე მთავრობის თითოეულ წევრს ბოდიშს არ მოუხდით, ვერ შემოხვალთ მთავრობის სხდომაზე და იქნებით ასეთი გაფარჩაკებული“...**

## მიზიდულობის ახალი ცენტრი მუხიანში

ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიის განვითარების პროექტს „ინდუსტრიული ქალაქი“ განახორციელებს, — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე გუშინ განაცხადა.

**„მუხიანში, ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიაზე გვინდა, განვავითაროთ პროექტი, რომელიც გლდანის, მუხიანისა და თემქისთვის ერთგვარი ახალი მიზიდულობის ცენტრი იქნება. აღნიშნული პროექტი გატანილი გვქონდა აუქციონზე და გვყავს გამარჯვებული კომპანია — „ინდუსტრიული ქალაქი“, რომელმაც ტერიტორია 23 მილიონ ლარად იყიდა. უკვე გვაქვს კომპანია „კოლიერსის“ მიერ შემუშავებული კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, ამ კონკრეტულ ადგილზე უნდა მოეწყოს კვების ობიექტები, სავაჭრო სივრცეები, ღამის კლუბი, მულტიფუნქციური საკონცერტო, საგამოფენო, ფიტნეს და სხვა ტიპის სპორტული სივრცეები, საცურაო აუზი, სარეკრეაციო სივრცე, კინოთეატრები, გასართობი ცენტრი, მედიათეკა, მინი საბავშვო ქალაქი, მეცნიერებათა მუზეუმი, კულინარიის, სამუშაო-საწარმოო სივრცე და ა.შ. ძალიან საინტერესო პროექტია. გამარჯვებული კომპანიაც საკმაოდ წარმატებულია. ეს არის ჯგუფი, რომელიც დედაქალაქში ისეთ მნიშვნელოვან და საინტერესო ობიექტებს ფლობს, როგორებიცაა სასტუმრო „რუმსი“, „სტამბა“, „ფაბრიკა“ და ა.შ.“**, — აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა აღნიშნულ პროექტზე მუშაობისთვის დედაქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს — ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსს ანდრია ბასილაიას და ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელს ირაკლი თავართქილაძეს მადლობა გადაუხადა.




## „სვეტის“ მშენებლობებს კომპანია M² დაასრულებს

**ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. დასრულებულ ბინას 2500-მდე ოჯახი მიიღებს.**

მშენებლობების დასრულების მიზნით, $m^2$ კომპანია „სვეტის“ თბილისში მდებარე სამ შეჩერებულ პროექტს გადაიბარებს (მირცხულავას ქუჩის 39-11, ნუცუბიძის ქუჩის 3125ა, ჭყონდიდელის ქუჩის 322).

სამივე პროექტი ამ ეტაპზე 30 საცხოვრებელ ბლოკს აერთიანებს, აღნიშნულ კომპლექსებში საცხოვრებელს 2500-მდე მობინადრე ელოდება. ამჟამად უკვე დასრულებულია თბილისის მერიისა და $m^2$-ის მიერ ინიცირებული მრავალმხრივი მოლაპარაკებები და გაფორმებულია ხელშეკრულებები „სვეტის“ კომპანიებთან და მიწების მესაკუთრეებთან.

პროექტის საინვესტიციო ღირებულება 250 000 000 ლარს შეადგენს და სრულად ფინანსდება $m^2$-ის მიერ. ობიექტების სამშენებლო-საინჟინრო მიმართულებას $m^2$-ის 26-წლიანი გამოცდილების მქონე სამშენებლო კომპანია BK Construction განახორციელებს.

**„წარმატება არ არის საბოლოო, მარცხიც არ არის ტრაგედია, გაგრძელების სურვილია მთავარი. შესაბამისად, ეს წარმატება არ არის საბოლოო და ამ 2500 ოჯახის გარდა, მსგავსად დაზარალებული უფრო მეტი ოჯახის საკითხების გადაწყვეტის შემდეგ, „ცენტრ პოინტის“ ამბებს ვგულისხმობ, ვფიქრობ, ჩვენ ერთად შეგვეძლება იმის თქმა, რომ ყოველთვის არსებობენ ადამიანები, რომლებიც ყველა შესაძლებლობაში ეძებენ პრობლემას, მაგრამ საბედნიეროდ, ასევე არსებობენ ადამიანები, რომლებიც ყველა პრობლემაში ეძებენ შესაძლებლობას“**, — განაცხადა კახა კალაძემ.

მშენებლობა დაიწყება პროექტების შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვების აღებისთანავე. მშენებლობა დასრულდება ნებართვების აღებიდან სამი წლის ვადაში.

## ირაკლი ხმალაძეს საპრევენციო მექანიზმის შექმნა დაევალა

**დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ ვიცე-მერს, სამშენებლო კომპანიებისგან მოქალაქეთა დაზარალების ფაქტების თავიდან აცილების მიზნით, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საპრევენციო მექანიზმის შექმნა დაავალა.**

კახა კალაძემ კომპანია „სვეტის“ დაზარალებულთა პრობლემის გადაჭრის პროცესზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მსგავსი პრობლემები სხვა სამშენებლო კომპანიების შემთხვევაშიც არსებობს.

**„სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეს პრობლემა ზოგადია. გვყავს კიდევ სხვა დაზარალებულები, მათ შორის „ცენტრ პოინტის“. ამაზეც ვმუშაობთ და დარწმუნებული ვარ, აქაც, უახლოეს მომავალში მივიღებთ გადაწყვეტილებას და ამ ოჯახების პრობლემაც იქნება მოგვარებული. ძალიან მძიმე საკითხია იმ თვალსაზრისით, რომ ძალიან ბევრი წელია გასული და 4000 დაზარალებული ოჯახია, თუმცა ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ეს საკითხი გადაიჭრას. მინდა, დავავალო ირაკლი ხმალაძეს, რომ შემუშავდეს გარკვეული მიდგომები, ავიღოთ განვითარებული ქვეყნებისა და ქალაქების მაგალითები, თუ როგორ არიან იქ დაცულები ის ადამიანები, რომლებიც ბინას ყიდულობენ.**

**დღეს როგორ არის საქართველოში: იწყება სამუშაოები და იწყება ჰაერის გაყიდვა, იმ ბინების, რომლებიც უნდა აშენდეს. სამწუხაროდ, არიან ისეთი კომპანიებიც, რომლებიც არაკეთილსინდისიერად იქცევიან და გვყავს დაზარალებული ოჯახები. ეს ყველაფერი თავიდან რომ ავიცილოთ, იქნებ შევიმუშაოთ და მოვიფიქროთ მექანიზმები. შეიძლება ბანკიც შემოვიყვანოთ, შეიძლება საგარანტიო თანხების დადება მოვთხოვოთ სამშენებლო კომპანიებს. შემდეგ ისე ხდება, რომ ვიღაც გაიქცევა, ფულს მოიპარავს და ეს ადამიანები რჩებიან მოტყუებული, მერე ზოგი მიდის ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ზოგიც მუნიციპალიტეტში დახმარებისათვის. ძალიან რთულია ასეთი პრობლემის მოგვარება. შევიმუშაოთ ისეთი მექანიზმი და გადმოვიტანოთ ისეთი მაგალითები, რომ ეს პრობლემა თავიდან იყოს აცილებული და თავიდანვე ვიყოთ დაზღვეულები“**, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა მადლობა გადაუხადა მოლაპარაკებაში ჩართულ მხარეებს, მათ შორის მერის მოადგილე ილია ელოშვილს, საინიციატივო ჯგუფს, ფინანსთა სამინისტროს, ფინანსურ პოლიტიკას და პროკურატურას.

## „გადაარჩინე ბავშვები“!

Save the Children®

**საერთაშორისო მასშტაბით საომარი მოქმედებების გამო ფსიქოლოგიური დახმარება 24 მილიონ ბავშვს სჭირდება. ამის შესახებ ორგანიზაცია „გადაარჩინე ბავშვები“ იუწყება.**

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის მიერ მომზადებული ახალი ანგარიშის თანახმად, საერთაშორისო მასშტაბით კონფლიქტურ ზონებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობამ 420 მილიონს მიაღწია.

ორგანიზაციის ცნობით, მსგავს ადგილებში ყოველწლიურად სულ მცირე ათასი ბავშვი იღუპება, ომის პირობებში მცხოვრები ბავშვების ნაწილს კი, მიყენებული ტრავმიდან გამომდინარე ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდება.

საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციით, ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოყოფილი ჰუმანიტარული დახმარებიდან მხოლოდ 0,14 პროცენტი მოხმარდა ბავშვებისთვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწევას. ანგარიშის თანახმად, ამ მხრივ ყველაზე რთული ვითარება იემენსა და სამხრეთ სუდანშია.

ორგანიზაცია „გადაარჩინე ბავშვების“ მიერ მომზადებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოებმა მდგომარეობის გამოსასწორებლად გაცილებით ეფექტურ ზომებს უნდა მიმართონ.

## ევოლუცია დმანისიდან დაიწყო

**დმანისის აღმოჩენების შესახებ მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ჟურნალი “Nature“ სტატიას აქვეყნებს.**

„ესაა გარღვევა უძველეს ბიომოლეკულურ კვლევებში, რაც საშუალებას აძლევს მეცნიერებს, აღადგინონ ბევრად ადრეული ეპოქების ევოლუციური სურათი, ვიდრე ეს დღემდე იყო შესაძლებელი, ასევე გამოიკვლიონ ცხოველების და ადამიანის წინაპრის ისტორია“ — ნათქვამია სტატიაში.



აღნიშნულთან დაკავშირებით, გუშინ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, აკად. დავით ლორთქიფანიძე და ფლორენციის უნივერსიტეტის პროფ. ლორენცო რუკი დმანისის აღმოჩენებისა და უახლესი საერთაშორისო კვლევების შესახებ ერთობლივ პრეზენტაციას გამართავენ.

# ეპოქის უნიჭიერესი პოეტი



**მაიაკოვსკი ჩვენ – მირცხულავას, კალაძეს და სტრიქონების ავტორს მწერალთა სასახლეში, დიდ დარბაზში გველოდა**, სადაც ამჟამად ბიბლიოთეკა-სამკითხველოა მოთავსებული. სტუმარს მზიანი ფანჯარა ამოერჩია, რაფაზე ჩამომჯდარიყო და რაღაც წიგნს ფურცლავდა. დარბაზში პირველი მირცხულავა შევუშვით. ის უკვე მოსკოვში ნამყოფი კაცი იყო, ბევრჯერ დასწრებოდა მაიაკოვსკის ლიტერატურულ საღამოებს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დარბაზში. ჩვენ კი, მე და კარლოს, რიდით და კრძალვით ფეხი უკან გვრჩებოდა, თუმცა მირცხულავამ კარი შეაღო თუ არა, მაიაკოვსკი მაშინვე წამოდგა და ისე გულითადად, შინაურულად ჩამოგვართვა ხელი, რომ თვალისწამში გააქრო ყველაფერი, რაც კი გვბოჭავდა და სითამამეს გვართმევდა. სათითაოდ შეგვათვალიერა და როცა შეგვატყო, ვაჟკაცური რიხი გვაკლდა, სკამები თვითონ ჩამოგვირიგა, დაბრძანდითო, თითქოს მასპინძელი ჩვენ კი არა, ის ყოფილიყოს. მე მაშინ ყველაზე მეტად მისმა თვალებმა განმაცვიფრა – მისი საოცრად მშვიდი და ნაღვლიანი გამოხედვა სრულიად არ ჰგავდა იმ ბობოქარ სტრიქონებს, ათასი პოეტის სტრიქონებში უმალ რომ გამოიცნობდი და გამოარჩევდი. მხოლოდ კარგა ხნის მერე, მეორე და მესამედ რომ შევხვდი მაიაკოვსკის, მაშინღა მივხვდი, ამ თვალებს ფიქრი და საზრუნავი არასოდეს არ ასვენებდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მთელი მისი არსება ყოველ ჟამს, ყოველ წუთს სავსე იყო სიმებივით დაჭიმული სტრიქონებით (**კონსტანტინე ლორთქიფანიძე**).

* * *

**„ვლადიმერ მაიაკოვსკი განსაკუთრებით ახლოს იყო ჩვენთან, ქართველებთან.** თვითონაც ხომ ამბობს ლექსში, „დაბადებით ქართველი ვარ“. მხედველობაში ჰქონდა ის, რომ დაიბადა საქართველოში, აღიზარდა ბაღდათ-ქუთაისში. ამიტომ მაიაკოვსკი ჩამოდიოდა თბილისში არა როგორც სტუმარი, არამედ როგორც შინაური თავის საკუთარ სახლში. იგი კარგად იცნობდა ჩვენს ყოფას, ცხოვრებას.

მშვენივრად ლაპარაკობდა ქართულს იმერული კილოთი (უყვარდა სიტყვები „ბოშო“, „აპა“). ქართულ ენას **„მსოფლიოში უძველეს ენას“** ეძახდა და ძალზეც უყვარდა იგი. აღშფოთებული იყო ქართული ენის რუსიციზმებით აჭრელების გამო.

– ბოშო, გუშინ ბაზარში ვიყავი, – მომმართა მაიაკოვსკიმ სუფრაზე, – და ასეთი ქართული გავიგონე: **„სლესარს კალესო წავუღე გასაკრასკავად“**. რა ქართულია? შიგ მარტო ერთი სიტყვაა ქართული!

მაიაკოვსკი მოითხოვდა ქართველი პოეტებისგან ქართული ენის მოვლა-პატრონობას, მისი სიწმინდის დაცვას.

პირველად მაიაკოვსკი ვნახე 1914 წლის მარტში თბილისში. იგი მონაწილეობდა **„ფუტურისტულ ტურნეში“** ვასილ კამენსკისთან ერთად. მახსოვს, მაშინ იგი ცხოვრობდა ახალ სასტუმროში, სწორედ იმ შენობაში, სადაც დღეს კულტურის სამინისტროა (მგონი, **„პალას-ოტელი“** ერქვა). მათი საღამო გაიმართა არა ოპერის თეატრში, როგორც წერენ ხოლმე, არამედ კონსერვატორიის დარბაზში.

კარგად მახსოვს, წყნარი, მზიანი გაზაფხულის საღამო იყო, 6-7 საათი. ჯგუფს წინ მიუძღვოდა მაიაკოვსკი მხიარული და ღონიერი. ჩვენ, რამდენიმე თბილისელი მოწაფე, უკან მივყვებოდით. საღამოს მეც დავესწარი. ქართველი საზოგადოებისთვის სრულიად მოულოდნელად მაიაკოვსკიმ შესავალი სიტყვა წარმოთქვა ქართულად, რამაც მსმენელებში დიდი აღტაცება გამოიწვია.



პაოლო იაშვილსა და ტიციან ტაბიძეს ძმასავით შეუყვარდათ „ვალოდია“. ორივენი მისი პოეზიის მხურვალე აგიტატორებიც იყვნენ: პაოლომ თარგმნა ქართულად **„მარცხენა მარში“** და სხვა ლექსები. ტიციანმა კი **„მისტერია ბუფი“**.

ჩვენ ხშირად ვსადილობდით მაიაკოვსკისთან ერთად და კიდეც ვნადიმობდით ხან **„სიმპათიაში“** და ხანაც **„ოლიმპიაში“**, პუშკინის ქუჩაზე.

განსაკუთრებით მახსოვს „ვალოდიას“ პატივისცემად ჩემი წრის მიერ გამართული ნადიმი, რომლის მონაწილენი ვიყავით პაოლო, ტიციანი მეუღლეებით, სანდრო შანშიაშვილი, ნიკოლოზ შენგელაია და მე.

ნადიმი გავმართეთ მტკვრის პირას, ორთაჭალაში **„ჩოფურაშვილთან“** (შემდეგ ესენინიც გვყავდა აქ), შევყევით ნადიმს, ლექსებსა და ლაპარაკს **„ბინდით ცისკრამდის“**, როგორც იტყვის რუსთაველი. მაიაკოვსკი მხიარულ გუნებაზე იყო, კითხულობდა ლექსებს, ბევრს ლაპარაკობდა საქართველოზე, ქართულ მწერლობაზე, ბაღდათზე, ქუთაისზე, პოეტებზე. ბევრსაც ხუმრობდა, მხოლოდ სმას კი ერიდებოდა. შემდეგ ჩვენ, მასპინძლებმა, ვიჭიდავეთ და ჩვენს ჭიდაობას გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს.

სხვათა შორის, მაშინ საუბარში მე ვუამბე მაიაკოვსკის, რომ მის ბაღდათს იხსენიებს ვოლტერი ეკატერინე მეორესთან მიმოწერაში. როცა სოლომონ მეორემ აიღო ბაღდათი, სადაც თურქების მეციხოვნე ჯარი იდგა, იმერეთის დედოფალმა მოითხოვა, რომ იგი ცხენით პირველი შესულიყო აღებულ ქალაქში. ამ ამბავს ატყობინებს ეკატერინე ვოლტერს და უკანასკნელიც თავისას მიუზღავს ქართველი ქალის მხედრულ სურვილს. ეს ამბავი მაიაკოვსკის ძალიან გაეხარდა და იძახდა: **„აპა, მაშ როგორ, ბოშო!“ როგორი ბიჭები ვართ!“**

შეთენდა. დავიშალეთ. წავიდნენ ტიციანი და პაოლო თავიანთი ცოლებით, სანდრო და კოლია, ხოლო მაიაკოვსკი და მე დავრჩით. კიდე ვილაპარაკეთ. ეტლი ვერ ვიშოვეთ, პირველი ტრამვაით წამოვედით ორთაჭალიდან. ერევნის მოედანზე გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს.

ეს იყო უკანასკნელი შეხვედრა.

მერე „ვალოდია“ ბრინჯაოს ძეგლად მდგარი დავინახე მაიაკოვსკის მოედანზე მოსკოვში (**გიორგი ლეონიძე**).

## ბაღდათელი ტრიბუნის თანამდევი ქართული სული



**კავკასიაში ფეხი დავდგი თუ არა, გამახსენდა ჩემი ქართველობა.**

**ვლ. მაიაკოვსკი**

* * *

**მეორე განყოფილებაში შეკითხვების პასუხებია.** აუდიტორიას მეტი სიცხოველე დაეტყო. სცენასა და აუდიტორიას შორის მჭიდრო კავშირი გაიბა. კითხულობს ბარათებს და მოსწრებულად უპასუხებს. ხალხი იცინის, ზოგი ბრაზობს, ზოგიც ღელავს.

სოსო გრიშაშვილმა მისწერა ბარათი: **„თქვენ არ მოგწონთ კაჩალოვის კითხვა. არტაბალევსკი ითვლება საუკეთესო მკითხველად. რას იტყვით იმის შესახებ, რომ კითხულობს „მზეს“?**

მაიაკოვსკიმ წაიკითხა სოსოს ბარათი და თქვა, რომ მას არტაბალევსკის კითხვა არ მოუსმენია. არტაბალევსკი ლენინგრადის **„კითხვის თეატრის“** რეჟისორია. ხალხი სთხოვს არტაბალევსკის, წაიკითხოს. რეჟისორი დგება, აუდიტორია ტაშით ეგებება, სწორედ რამდენიმე დღის წინათ, ვიდრე მაიაკოვსკი ჩამოვიდოდა, არტაბალევსკიმ თავის საღამოზე წაიკითხა მისი ლექსები და ყველას ძალზე მოეწონა.

არტაბალევსკი სცენაზე ავიდა. ღელავს. ბოდიში მოიხადა:

– ეს-ეს არის სანატორიუმიდან მოვედი, კონცერტი იყო, დაღლილი ვარ.

დაიწყო კითხვა, შეეშალა, როგორც იყო, დაძლია აღელვება. გამოსწორდა. მაიაკოვსკი ჯერ გატრუნული უსმენდა, მერე წამოდგა და დაიწყო შენიშვნები:

**– უპირველეს ყოვლისა, თქვენ სათაური არა თქვით, სათაური თემაა. სათაური იმიტომა აქვს ლექსს, რომ უნდა წაიკითხოთ.**

არტაბალევსკი აენთო. ეწყინა, მაიაკოვსკი ისევ აძლევს შენიშვნებს, როგორც მოწაფეს. აუდიტორია აღშფოთდა, ორად გაიყო. გამოვიდნენ არტაბალევსკის დამცველები. ატყდა ყიჟინა, აურზაური.

აუდიტორია სთხოვს მაიაკოვსკის, თვითონ წაიკითხოს „მზე“. მაიაკოვსკი რიხით კითხულობს. ხალხი დაწყნარდა, ყველა სმენად არის გადაქცეული. პოეტმა კვლავ დაიპყრო აუდიტორია. მაიაკოვსკი ბევრად უფრო კარგად კითხულობს... დასრულდა კითხვა. კვლავ მქუხარე ტაში.

მაიაკოვსკი მიმართავს აუდიტორიას:

**– ვინ უკეთესად კითხულობს, ხმის უმეტესობით გადაწყდეს!**

აქ სოსო გრიშაშვილი თავის სკამიანად წამოხტა და ყვირის:

**– სად გაგონილა ამისთანა შეკითხვა, ეს გემოვნების საკითხია!**

ატყდა ისევ აურზაური, ხალხი სოსოს აწყნარებს, მე სახელოზე ვეწევი, რომ გაჩუმდეს. ზოგი იცინის, ზოგი ყვირის. არტაბალევსკი სცენაზე უმტკიცებს მაიაკოვსკის:

– Никаких внешних признаков для повышения голоса нет в слове „необычайное“, чтобы его выпячивать!



კამათია სცენაზე. აუდიტორიაში მსმენელები ერთმანეთს დაერივნენ.

– არა, ავტორი უკეთესად კითხულობს!

– არტაბალევსკი ცუდ მდგომარეობაში რად ჩააყენეთ!

სულ კი სოსო გრიშაშვილის შეკითხვამ გამოიწვია ეს ალიაქოთი. მე ვუსაყვედურებ:

– რა გინდოდა, რას ერჩოდი იმ ადამიანს? თავისთვის იჯდა და ყურს უგდებდა.

საღამო დასრულდა. ჯგუფ-ჯგუფად იშლებიან მაყურებლები. ჩვენც მივდივართ ლაპარაკით. მაიაკოვსკი მსახიობებთან ერთად სავახშმოდ მიდის. ჩვენი ქართული ბაასი რომ გაიგო, მსახიობებს დაშორდა, ჩვენ წამოგვეწია და ქართულად გვეკითხება:

– საიდან ხართ?

გამეხარდა, რომ ქართულად დაგველაპარაკა. ჩვენ არ გავუმხილეთ ჩვენი პროფესია, მხოლოდ ვუთხარით, რომ თბილისელები ვართ. ამა და ამ პოეტებს ხომ იცნობთო, – დაგვისახელა რამდენიმე ჩვენი ამხანაგი. გაგვეცინა. შეგვეკითხა სიმონ ჩიქოვანზე, ბესო ჟღენტზე.

– როგორ არა, ძალიან კარგად...

გამოგვყვა, დიდხანს გველაპარაკა, დიდი სიამოვნებით მოიგონა თბილისი, მთაწმინდა, ქართული სუფრა და სიმღერები. მერე ისევ ლექსების კითხვაზე და პოეზიაზე გადავიდა. ქუჩის მოსახვევში გამოგვემშვიდობა. მეორე დღეს იალტაში მიდიოდა (**მარიჯანი**).

* * *

**მუდამ ცოცხალი, ანცი და მოუსვენარი – ასეთი იყო მაიაკოვსკი ქუთაისის გიმნაზიაში**, სადაც პირველად გავეცანი. ამხანაგები **„მაღალ ვალოდიას“** ეძახდნენ. მისი გარეგნობა მართლაც შეეფერებოდა ამ სახელს.

ქართულს იგი კარგად ლაპარაკობდა და თითქოს განგებო, რათა გაეჯავრებინა მასწავლებელი, ცდილობდა, ამხანაგებთან ქართულად ელაპარაკნა. სამი კლასით იყო ჩემზე წინ.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც კლასში მორიგედ ვიყავი, ფანჯარაში მაიაკოვსკი შემოძვრა. სიცილით მოვიდა ჩემთან, თავში ჩამიფაჩუნა და ხელი გამომიწოდა. ჩემმა გვარმა რატომღაც გააკვირვა და კრიტიკულად ამხედ-დამხედა თავით ფეხამდე. უეცრად მომკიდა ხელი, მიმიყვანა დაფასთან და მითხრა, გინდა ხატვა გასწავლოო. „აბა, მიყურე!“ – მან სწრაფად დახატა დაფაზე ცხენი, კატა, ბაჭია და სხვა ცხოველები. მაიაკოვსკი კარგად ხატავდა და გული მოსდიოდა, მასავით რომ ვერ ვხატავდი.



რამდენიმე წუთის შემდეგ დაათვალიერა ჩემი კისერი და ხელები. ეტყობოდა, ეს გამოცდა დამაკმაყოფილებლად ჩავაბარე, ვინაიდან მაიაკოვსკი, ჩემი პატივისცემის ნიშნად, შემპირდა ცურვას გასწავლიო.

შემდეგი ჩვენი შეხვედრა უმთავრესად მდინარე რიონის ნაპირას ხდებოდა. არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როდესაც მაიაკოვსკის ხელმძღვანელობით თეთრ ხიდთან პირველად გადავცურე რიონი (**კოლაუ ნადირაძე**).

* * *

**1927 წლის ზამთარი იდგა.** თებერვალი იყო. იმ დროს უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობის პერიოდსექტორის უფროსად ვმუშაობდი (ახლანდებურად დირექტორი). პერიოდსექტორი დამოუკიდებელი გამომცემლობა იყო თავისი ბიუჯეტით და ფინანსებით, იმყოფებოდა უკრაინის მაშინდელ დედაქალაქ ხარკოვში, მდინარე ხარკოვის ნაპირას, მაშინ ეგრეთ წოდებულ სავაჭრო რიგებში.

**„ოქტიაბრსკიე ვოსხოდის“** რედაქტორმა მთხოვა, ვლადიმერ მაიაკოვსკისგან ლექსები მივიღეთ და ავანსი გვინდა მივცეთო. პერიოდსექტორი იმ დროს ფინანსების მხრივ მძიმე მდგომარეობაში იყო. მაშინ სახელმწიფო დაწესებულებებში სამეურნეო წელიწადი 1 ოქტომბრიდან იწყებოდა, რადგან გაუმართლებელი ავანსი ბევრი იყო გაცემული, ავკრძალე მისი გაცემა, მაგრამ ეს ხომ მაიაკოვსკის არ შეეხებოდა! მისი მასალა უკვე რედაქციაში იყო. მოვიხმე მოლარე და მაიაკოვსკის მივეცით კუთვნილი თანხა.

ფული რომ მიიღო, მაიაკოვსკიმ იხუმრა:

**– ჯიბეში რომ ფული გაქვს, უფრო ლაღადა წერ, რადგან ცხოვრების წვრილმანი აღარ გაწუხებს.**

თანამშრომლები გავიდნენ კაბინეტიდან. მე და მაიაკოვსკიმ ცოტა კიდევ ვისაუბრეთ. წასვლისას თავისი მოკლე ჩიბუხი დამიტოვა სამახსოვროდ. სამწუხაროდ, გერმანელი ფაშისტების ხარკოვში ყოფნისას ყველაფერი დამეღუპა

დასასრული. დასაწყისი იხ. №170-179

და ის სამახსოვრო ჩიბუხიც. დამრჩა მხოლოდ მოგონება ვლადიმერ მაიაკოვსკიზე, როგორც ჩვენი სამშობლოს დიდ შვილზე (**გიორგი ნამორაძე**).

* * *

**პოეტმა მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა საქართველოს მხურვალე სიყვარული.** იცოდა მისი ისტორია და კულტურა, ქართული ენა, ზეპირად ახსოვდა და სიყვარულით წარმოთქვამდა ქართული რევოლუციური პოეზიის ნიმუშებს, მღეროდა ქართულ სიმღერებს, რომლებიც 1906 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში დაიბადა. განა შეიძლებოდა ახალგაზრდა ქართველი ლიტერატორები მღელვარების გარეშე გამოხმაურებოდნენ სიტყვებს, რომლებიც ეკუთვნოდა უკვე მსოფლიოში სახელგანთქმულ პოეტს:



„Да,
я грузин;
но не старенькой нации,
забитой
в ущелье в это,
я –
равный товарищ
одной федерации
грядущего мира советов (**ვესარიონ ჟღენტი**).

* * *

**შუა ქეიფში რომ იყვნენ შესულნი,** მაიაკოვსკიმ აიტეხა, გვეყოფა, ახლა ქალაქგარეთ, ორთაჭალაში წავიდეთო.

იქ მყოფნი არ დაეთანხმნენ, მაგრამ ვალოდიას ვერაფრით გადაათქმევინეს. მაშინ მაიაკოვსკი ჩუმად წამოდგა. მანიშნა, გამომყევიო, და ქუჩაში გამოვედით.



დანარჩენებიც აიშალნენ და გარეთ გამოვიდნენ.

ქუჩაში ჩამწკრივებულნი იყვნენ მეეტლეები.

მაიაკოვსკიმ გაიხედა იმათკენ და კიდევ ერთხელ სთხოვა ქართველ მეგობრებს, ორთაჭალაში წავიდეთო. მათ ისევ უარი უთხრეს. მაშინ ვალოდიას ბევრი აღარ უფიქრია, მტაცა ხელი, ჩამსვა ეტლში, თვითონ გვერდით მომიჯდა და მეეტლეს უბრძანა, – რაც შეგიძლია სწრაფად გასწიეო.

ჩემი „მოტაცების“ ამბავს რომ შეესწრნენ, პოეტები იმავე წუთს ეცნენ ეტლებს, ჩასხდნენ და ჭენებ-ჭენებით გამოგვეკიდნენ (**ნინო ტაბიძე**).

* * *

**რევოლუციის** შემდეგ მაიაკოვსკი თბილისში პირველად 1924 წლის აგვისტოში ჩამოვიდა. ხალხი აგარაკზე იმყოფებოდა. იმ ხანებში ერთმანეთს ვერ შევხვდით, მაგრამ გადმოგვცეს, რომ მან იკითხა პოეზიის ფრონტის მდგომარეობის შესახებ საქართველოში. ქართულად წაეკითხა პაოლო იაშვილის მიერ თარგმნილი თავისი ლექსები და დაინტერესებულა **„მისტერია ბუფის“** დადგმით. იგი მე ვთარგმნე კოტე მარჯანიშვილისთვის. დიდ ქართველ რეჟისორს განზრახული ჰქონდა, დაედგა იგი ფუნიკულიორზე, ღია ცის ქვეშ, ანტიკური სანახაობის მსგავსად. მაიაკოვსკიმ მოიწონა კოტე მარჯანიშვილის ჩანაფიქრი, რაც, სამწუხაროდ, განუხორციელებელი დარჩა...



უკანასკნელად მაიაკოვსკის შევხვდი მოსკოვში 1928 წელს.

– სად მიდიხარ? – მკითხა მან ქართულად.

იმ დღეებში მოსკოვში ტოლსტოის იუბილეზე ჩამოსული იყო სტეფან ცვაიგი. ბანკეტზე მოწვეული იყვნენ მწერლები, მათ შორის მეც, ვუპასუხე, ბანკეტზე მივდივარ-მეთქი. შევატყვე, ცუდ ხასიათზე იყო.

– ბანკეტზე მეც ვარ დაპატიჟებული. ნუ წახვალ, დარჩი ჩემთან, ძალიან ცუდ გუნებაზე ვარ. ერთად ვისადილოთ.

უარი ვერ ვუთხარი.

იქვე „გრანდ ოტელში“ შევედით (**ტიციან ტაბიძე**).

* * *

**საღამო რომ დასრულდა, ქუჩაში გამოვედით ერთად:** ვლადიმერ მაიაკოვსკი, აკაკი ბელიაშვილი და მე. უცებ ჩვენი სტუმარი შეჩერდა და შეგვეკითხა: „არ ვიცი, ეს ყველაფერი საჭიროა ხალხისთვის თუ არა?“ ჩემს ყურს ვერ დავუჯერე, მეგონა, დამახინჯებულად მომესმა მისი ნათქვამი. შევეკითხე, ვერ გავიგე, რა თქვით-მეთქი. გამიმეორა, ხალხს სჭირდება თუ არა ჩემი ნამუშევარი, ისე უნდა ვიმუშაო, როგორც ცხოვრებას სჭირდებაო. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ, როცა სიმწიფეში შევედი, მივხვდი, რომ დაეჭვება ყველა ჭეშმარიტი და დიდი ტალანტის თანდაყოლილი თვისებაა, თვითკმაყოფილება მხოლოდ უგუნურთა ხვედრია.



კეთილშობილი ეჭვი მასაც ეწვეოდა ზოგჯერ და გული ეთანაღრებოდა. სწორედ ასეთი გაწყობილების ჟამს ერთმანეთს დავშორდით. მეორე დღეს ავად გავხდი და ერთი კვირა სიცხიანი ვიწექი. იმ დღეებში ვლადიმერ მაიაკოვსკიც მოულოდნელად გაემგზავრა თბილისიდან (**სიმონ ჩიქოვანი**).

* * *

**ვლადიმერი** იშვიათი ენამახვილი იყო და ექსპრომტებიც მოხდენილი იცოდა, ცნობილია მისი მიმართვა ვალერიან გუნიასადმი ბაქოში გამართულ ერთ-ერთ ბანკეტზე 1927 წელს, რომელიც „სალიტერატურო გაზეთში“ დაიბეჭდა 1933 წლის 31 ოქტომბერს.



„И теперь вдали от вас
висурвебди,
вхопилихав
Тквентан ертад,
как с братом брат.
Хотелось вновь и в глаз
и в бровь
Делить и ласку и любовь
И посмеяться и...
побалагурить.
Квлав могвелхина гвинит да пурит.
Маглари гвесва канцит да чурит.
(**ვლადიმერ ჯაფარიძე**).

* * *

**„1927 წელი** იყო.

ვლადიმერ მაიაკოვსკი თბილისში ჩამოვიდა.

ლიტერატურის მოყვარული სტუდენტები მაშინ სულ იმაზე ლაპარაკობდნენ: აბა, სად იქნება მაიაკოვსკის საღამოო. გავიგეთ, რომ ერთი საღამო უნივერსიტეტში გაიმართებოდა. ველით! წუთი საათად გვეჩვენება. უცებ ხმა შემოიჭრა:

– მოდის!

თითქოს ამ ხმას შემოჰყვა, ტრიბუნაზე გამოჩნდა მაღალი, ახოვანი, მხარბეჭიანი კაცი. ის არ იყო მსუქანი, მაგრამ არც გამხდარი ეთქმოდა. მკვრივი აგებულების კაცი ჩანდა. ასეთი იყო ერთი შეხედვით ვ. მაიაკოვსკი. ჯერ მისი დანახვა გვაინტერესებდა, მაგრამ მერე მაიაკოვსკის ხმის გაგონების მოლოდინში გველეოდა სული. არც ამან დააგვიანა. მალე გაისმა ვ. მაიაკოვსკის ხმა. მთელ დარბაზს გადაუარა ომახიანად წარმოთქმულმა მისმა სიტყვებმა. მოხსენებით დაიწყო. ზეპირად ლაპარაკობდა. მოხსენების თემა თავისივე შემოქმედება იყო. აფიშაშიც ხომ ასე ეწერა: **„ვ. მაიაკოვსკი ვ. მაიაკოვსკის შესახებ“**. მოხსენებაში ჰქონდა ჩართული თავისივე ლექსები და პოემები. მთლიანად წაიკითხა ზეპირად „მარში“ და ბევრი სხვა ლექსი. თითქოს ახლაც ყურში მესმის ვ. მაიაკოვსკის ხმა. მეტად ორიგინალურია ვ. მაიაკოვსკის ლექსთწყობა და ასევე ორიგინალური იყო მისი კითხვაც. მას შემდეგ მაიაკოვსკის ლექსები ბევრჯერ მომისმენია მსახიობებისგან რუსულ და ქართულ ენებზე, მაგრამ ისე არავის წაუკითხავს.

ვ. მაიაკოვსკის ბევრი მიმდევარი ჰყავდა და არც მოწინააღმდეგენი აკლდნენ. ამ ამბავმა იმ საღამოზეც იჩინა თავი. პირველ რიგში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა, სტუდენტები ზეზე წამოხტნენ.

– მე არ მომწონს! – ყვიროდა ერთი.

– შენ არ გესმის! – იძახდა მეორე.

– შენ თვითონ არაფერი გაგეგება, – ეუბნებოდა ისევ პირველი.

ამ ცხარე შეკამათების დროს ხელითაც კი შეძიძგილავდნენ ბიჭები. ამის შემხედავმა მაიაკოვსკიმ უცებ შეწყვიტა სიტყვა. სცენიდან გადმოვიდა, შეკინკლავებულ ბიჭებთან მივიდა და თავისებური ომახიანი ხმით ქართულად უთხრა:

– რა გაჩხუბებთ, ბიჭებო!



ამ სიტყვების გაგონებაზევე ისინი დაზავდნენ. ქართულმა სიტყვებმა ვლადიმერ მაიაკოვსკი კიდევ უფრო ახლოს მოიყვანა ჩვენს გულთან და ტაშმა იგრიალა. იგი ისევ ტრიბუნაზე ავიდა და საღამო განაგრძო.

საღამო დამთავრდა.

დარბაზიდან უცებ ვიხუვლეთ, ყველას ადრე გვინდოდა გამოსვლა, რომ ვ. მაიაკოვსკისთვის კიდევ ერთხელ მოგვეკრა თვალი. მაშინ თბილისში თითქმის სულ არ იყო მანქანები და უნივერსიტეტის ჭიშკართან ეტლი იდგა. იმ ეტლით მოსულიყო და იმითვე წავიდა“ (**ლავრენტი ჭიჭინაძე**).

***ამოკრებილია ლ. ნანიტაშვილის მიერ შედგენილი კრებულიდან – „მოგონებები მაიაკოვსკიზე“, რომელიც 1983 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა.***



# სალომე ზურაბიშვილი – გრიგოლ ფერაძემ ემიგრაციაში შეასრულა ის როლი, რომელსაც საქართველოს ისტორიაში ქართული ეკლესია ასრულებდა

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გრიგოლ ფერაძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია — „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“ გაიხსნა.**

ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ესწრება. კონფერენცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ გახსნა და გრიგოლ ფერაძის განვლილი ცხოვრება გაიხსენა. სიტყვით ასევე გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი.



**„ჩემთვის გრიგოლ ფერაძე არ არის მხოლოდ მითიური სახე, ეს არის ნაწილი იმ ისტორიის, რომელშიც აღვიზარდეთ. პირადად არ ვიცნობდი გრიგოლ ფერაძეს, უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ მისი კვალი ქართული მიწა-წყალში და ქართულ ეკლესიაში იყო ძალიან ძლიერი. მისი ხსოვნა მუდამ იყო ის, რაც იგრძნობოდა ეკლესიაში და არა მხოლოდ ეკლესიაში, როგორც რწმენის კერაში, არამედ როგორც ამ ემიგრაციის სულისჩამდგმელი. მან შეასრულა ემიგრაციაში ის როლი, რომელსაც საქართველოს ისტორიაში ქართული ეკლესია ასრულებდა, არა მხოლოდ რწმენის გაძლიერების ადგილი, არამედ ის ადგილი, სადაც ქართული იდენტობა იყო შენახული და ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო უცხოეთში, ემიგრაციაში, რომ ყველაფერი ის, რაც იყო საქართველოს სიმბოლოები და საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლოები, ყოფილიყო შენარჩუნებული. ეს ვერ იქნებოდა, ეკლესია რომ არ ყოფილიყო. ეკლესიამ ითამაშა ეს დიდი როლი იმის მიუხედავად, რომ იქ იყო ძალიან ბევრი წინააღმდეგობა. მოგეხსენებათ, პოლიტიკური წინააღმდეგობები არ არის ახალი, ძველია, მაგრამ ამის მიუხედავად ეს ეკლესია გახდა მართლაც ის ადგილი, სადაც ქართული სული, საქართველოს დამოუკიდებლობის სული იქნა შენარჩუნებული. ეს დაიწყო გრიგოლ ფერაძით, გაგრძელდა და დღემდე მოდის. გრიგოლ ფერაძემ ასევე შეასრულა ძალიან დიდი როლი იმაში, რომ გვაჩვენა, რა არის პიროვნება, რა არის მაგალითი, ყოველმხრივ მაგალითი თავისი თავდადებით, როგორც თავისი ცხოვრება წაიყვანა ბოლომდე თავისი ღირსებით, თავისი თავისუფლებით, როგორ შეეჭიდა ტოტალიტარულ სისტემას, როგორ შეიძლება ადამიანმა გაუძლოს ტოტალიტარულ სისტემას, ამ ყველაფერს გვასწავლის. ეს არის გზა, რომელიც გავლილი იყო საქართველოს მიერ ამ მძიმე პირობებში, ოკუპირებულ საქართველოსი, რომელიც ნაწილობრივ გრძელდება და ის წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის დიდ მაგალითს“,** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, გრიგოლ ფერაძე პირველად პოლონეთმა აღიარა.

**„ეს ჩვენი ჩვევა არის, რომ თუ ჯერ სხვებმა არ აღიარეს, გვიჭირს, ჩვენ თვითონ დავინახოთ ნამდვილი ძალა. ამისთვის დიდი მადლობის თქმა გვეკუთვნის სწორედ პოლონელების მიმართ. პირველად იქ დაბეჭდეს მისი ნაშრომები“,** — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა. წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე საქართველოსა და პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ წმინდანად არის შერაცხილი.

# მსოფლიო „ხელის ჭუჭყში“ იხრჩობა



# უცხოური ინვესტიციების 40 პროცენტი ფიქციაა!!!

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის და კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ექსპერტების კვლევის შედეგების თანახმად, მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნებში ჩადებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან 15 ტრლნ. დოლარი არის ფიქტიური და მათი ერთადერთი მიზანია არა ბიზნესის განვითარება, არამედ გადასახადებისგან თავის არიდება.**

ეს თანხა შეადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 40%-ს.

ექსპერტებმა შეისწავლეს საინვესტიციო ნაკადები სხვადასხვა ქვეყნებში და მივიდნენ საინტერესო დასკვნამდე — **ხშირად ინვესტიციები, რომელთა ფორმალური მიზანია ბიზნესის გაფართოება და ქვეყნებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სინამდვილეში წარმოადგენენ ერთსა და იმავე ჯგუფში შემავალ კომპანიებს შორის ტრანსსასაზღვრო ინვესტიციების ინსტრუმენტს. ფიქტობრივად, ეს თანხები მოძრაობს ნომინალურად არსებული კომპანიების მეშვეობით.**

**ეს კომპანიები არ აწარმოებენ რეალურ ბიზნესსაქმიანობას. ესაა ფინანსური ინჟინერია, რომლის მიზანია მხოლოდ გადასახადების მინიმიზაციის გზის მოძიება მსხვილი კორპორაციებისთვის.**

შედეგად გამოდის ასეთი სურათი — ლუქსემბურგში ცხოვრობს 600 000 ადამიანი, ხოლო ამ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა უტოლდება აშშ-ს და ბევრად აღემატება ჩინეთს.

ერთ სულ მოსახლეზე ლუქსემბურგი იღებს 6,6 მლნ. დოლარის უცხოურ ინვესტიციებს, რაც ბევრად აღემატება იქ არსებულ რეალურ ეკონომიკას.

**კიდევ ერთი მაგალითი — პირდაპირი ინვესტიციების მაჩვენებელი ირლანდიაში 2015 წელს გაიზარდა 26%-ით იმის შემდეგ, რაც საერთაშორისო კორპორაციებმა გადაიტანეს იქ არამატერიალური აქტივები და დაიწყეს ქვეყნის გამოყენება ციფრული მომსახურების გასაყიდად. ეს მაშინ, როდესაც ფიზიკურად არც ერთი ეს კორპორაცია არ იმყოფება ირლანდიაში და არ მუშაობს იქ.**

ექსპერტების აზრით, ყველაზე მეტია ასეთი ფიქტიური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მსოფლიოში ცნობილ ოფშორებში — ისეთებში, როგორებიცაა ლუქსემბურგი, ჰოლანდია, ვირჯინიის კუნძულები, ბერმუდის კუნძულები, სინგაპური, კაიმანის კუნძულები, შვეიცარია, ირლანდია, მავრიკი.

**ლუქსემბურგზე და ჰოლანდიაზე მოდის ფიქტიური ინვესტიციების 50%, ხოლო ჩამოთვლილ ათეულზე — 85%. საუბარია 15 ტრლნ. დოლარზე მაშინ, როდესაც მთლიანი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მსოფლიოში შეადგენს 40 ტრლნ. დოლარს წელიწადში.**

**ქვეყნებს შორის, რომელთა უცხოური ინვესტიციების ნაკადი 50%-ზე მეტად არის ფიქტიური, ექსპერტები ასახელებენ ასევე ბრიტანეთს, კვიპროსს, მალტას და უნგრეთს.**

ეს კი ხდება მაშინ, როდესაც ბოლო წლებში რეგულატორები ცდილობენ, არ მისცენ მსხვილ კორპორაციებს გადასახადების დამალვის და ოფშორებში რეგისტრაციის საშუალება — ამ ყველაფრის ფონზე ფიქტიური უცხოური ინვესტიციების მოცულობა არათუ არ მცირდება, არამედ ყოველწლიურად იზრდება.

**მაგალითად, 2010 წლის ბოლოს ყალბ ინვესტიციებზე მოდიოდა მთლიანი ინვესტირების 31%, 2017-ში კი — 38%.**

**15 ტრლნ. დოლარი, რომელიც დაითვალეს ექსპერტებმა — არის გერმანიის და ჩინეთის ჯამური მშპ.**

კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ ამ სურათის გათვალისწინებით, აუცილებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დათვლის პრინციპების შეცვლა, იმისთვის, რომ ის უფრო პასუხობდეს დღეს არსებულ გამოწვევებს.

ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ მთავრობების მიერ საგადასახადო სისტემებში სუსტი ადგილების აღმოფხვრის მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს მოაქვს გარკვეული შედეგები.

თუმცა, საბოლოო ჯამში, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის გათვალისწინებით, ამ საკითხში მთავარია საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება საგადასახადო საკითხებში.

KOMMERSANT.RU

# DEUTSCHE WELLE-მ ორჯერ იკადრა უკადრებელი...




## «გაძღა» და ჩამოლაბორანტდა...

**მიშა და მისი „ნაციონალური მოძრაობა“ რომ ენა-პირს არადანიშნულებისამებრ იყენებდა და ხან ჰალსტუხს ღეჭავდა და ხან კი — გადაფურთხებულს ლოკავდა, მეც ვიცოდი და სრულიად დუნიამაც, მაგრამ ის, რაც მსოფლიოს ერთ-ერთმა წამყვანმა — გერმანიის სახელმწიფო საერთაშორისო ტელერადიომაუწყებელის Deutsche Welle-ს ინგლისის სამსახურმა იკადრა, იმას ის გაზეთიც კი არ იკადრებდა, ქე რომ მეგი გოცირიძე დააგრიხინებს ხოლმე საქართველოს სოფლებსა და რეგიონებში და ბოლოს დიდი „პატივისცემით“ სჩრის ხოლმე ჭორვილაში, იცით თქვენ, ვისი სახლის კარებშიც.**

მოკლედ, ამ ჩვენის Deutsche Welle-მ ორჯერ იკადრა უკადრებელი: ჯერ ნიუსის სათაურად გამოიტანა, თავისი და „ნაციონალების“ ჭკუით, ყველაზე მოლაპარაკე სათაური და გიორგი გახარიას „მოსკოვის კაცი“ უწოდა... ცოტა ხანში კი აზრი (ვითომ) „შეცვალა“ და „მოსკოვის კაცი“, როგორც ოპოზიცია უწოდებსო, ასე გაამართლა იდიოტური სათაური-შეცდომა...

**Deutsche Welle-სი გამკვირვებია... ოპოზიციად მოხსენიებულ „ნაციონალურ მოძრაობას“ რომ ჰყავდა და ჰყავს რუსეთის კაცი, იმისთანა უნდა... რუსეთისთვის სასარგებლოდ მიშა სააკაშვილის მიერ ნაკეთების შემხედვარე მაუწყებელი, კიდევ გახარიას ეძახით რუსეთის კაცს, რომელიც გერმანიის უმსხვილესი კომპანიის „Lufthansa Service Holding AG“-ის ბიზნესის განვითარების დირექტორი იყო?! თქვენც დახვედით იმ გაზეთის დონემდე, რომელსაც ხსენებული „პერსონაჟი“ დაარბენინებს ხოლმე ორღობეებში? ბრავო...**

როგორც გურამ დოჩანაშვილი იტყოდა, Deutsche Welle „გაძღა“ და ჩამოლაბორანტდა...

არა, ნამდვილად საწყენია, თორემ ჩემი რა მიდის?!

**თეა ფირცხალავა**

# ამერიკას კრემლში მაღალი დონის ჯაშუში ჰყავდა – „ნიუ იორკ თაიმსი“

**შეერთებული შტატების დაზვერვის ცენტრალურ სააგენტოს კრემლში მაღალი დონის წყარო ჰყავდა. შესაბამისად, ვაშინგტონს ხელი მიუწვდებდა ინფორმაციაზე, რომლის მიხედვითაც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა პირადად გასცა განკარგულება, გავლენა მოეხდინათ ამერიკაში 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე.**

პირველად ამის შესახებ ორშაბათს, „ნიუ-იორკ თაიმსმა“ და „სი-ენ-ენმა“ გამოაქვეყნეს. არცერთი ამერიკული მედია-ორგანიზაცია არ ასახელებს წყაროს ვინაობას, თუმცა ეს ფუნქცია საკუთარ თავზე რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა აიღეს.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე, კრემლის პრესსპიკერმა დმიტრი პესკოვმა თქვა, რომ რუსულ ანგარიშებში დასახელებული ადამიანი მართლაც მუშაობდა პრეზიდენტ პუტინის ოფისში, მაგრამ ის არც მაღალ პოზიციაზე იყო და არც პირადად პუტინზე ჰქონია წვდომა. ამასთან, ეს ადამიანი, პესკოვის თქმით, „სამსახურიდან რამდენიმე წლის წინათ დაითხოვეს“.

**„ნიუ-იორკ თაიმსმა“ და „სი-ენ-ენმა“ მასალაში ისიც თქვეს, რომ ეს ადამიანი რუსეთიდან 2017 წელს გამოიყვანეს, მას შემდეგ, რაც მან რუსეთის დატოვების პირველ შეთავაზებაზე უარი თქვა. „სი-ენ-ენი“ აცხადებს, რომ მისი მოსკოვიდან გაყვანა შესაძლოა, იმიტომ მოხდა, რომ ჯაშუშის ხელთ არსებული ინფორმაცია პრეზიდენტ დონალდ ტრამპზე და მისი ადმინისტრაციის წევრებზე, უცხო ხელში არ მოხვედრილიყო. ამ ინფორმაციას შეერთებული შტატების დაზვერვის ცენტრალური სააგენტო დაბეჯითებით უარყოფს.**

ჟურნალ „თაიმსში“ ფიქრობენ, რომ აღნიშნული წყაროს სიცოცხლე დღეს დიდ საფრთხეშია და, სავარაუდოდ, მისი რუსეთიდან გაყვანის მიზეზიც სწორედ ეს ფაქტი იყო. ჟურნალისტებს ამ განცხადების გაკეთების საფუძველს აძლევს სერგეი სკრიპალის საქმე, რუსეთის ყოფილი ჯაშუშის, რომელიც გასულ წელს ბრიტანეთში მოწამლეს. მომხდარში ლონდონი მოსკოვს ადანაშაულებს.

**მედიაში გავრცელებულ ცნობებში ასევე ამბობენ, რომ კრემლის უმაღლეს ეშელონებში ასეთი წყაროს დაკარგვა ამერიკისთვის დიდი დანაკლისია. შეერთებულ შტატებს ამის გამო აღარ აქვს საშუალება, შეიტყოს, თუ რას გეგმავს რუსეთი დღეს და როგორ აპირებს სხვა არჩევნებზე გავლენის მოხდენას.**

WWW.AMERIKISKHMA.COM

# დაუვიწყარი მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში

**„7 დაუვიწყარი გამოცდილება დასავლეთ საქართველოში“ — სტატიას ამ სათაურით ცნობილი სამოგზაურო ვებ-პორტალი Wanderlust ავრცელებს.**

**გამოცემის ჟურნალისტმა ჰელენ მოატიმ საქართველოს დასავლეთ რეგიონებში იმოგზაურა და როგორც ის წერს, „საქართველო იმაზე მეტია, ვიდრე თბილისი და მთები“.**

**„ჰელენ მოატიმ უძველესი კანიონები, უდაბური საბჭოთა აბაზანები, იუნესკოს ნუსხაში შეტანილი სოფლები და წარმოუდგენელი სტუმართმოყვარეობა აღმოაჩინა ქვეყნის დასავლეთ ნაწილში“ — ნათქვამია სტატიაში.**

**„რეპორტიორი“ მკითხველს იმ შვიდ დაუვიწყარ თავგადასავალს სთავაზობს, რომელთა გავლასაც მათაც ურჩევს.**

### რელაქსი ქუთაისში

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, აეროპორტიდან ნახევარი საათის მანძილით დაშორებული აუღელვებელი და მშვიდი ქუთაისი კარგი ბაზაა დასავლეთ საქართველოს შესასწავლად.

მისი დაჩაჩანაკებული (ძველი, დრომოჭმული) ქუჩები და ისტორიული ნაგებობები აყვავებული ყვავილებითა და რძიანი მდინარე რიონით არის გაჯერებული...

ჟურნალისტი მკითხველს შუა საუკუნეების ისტორიული ბაგრატის ტაძრის მონახულებას ურჩევს, ასევე გელათის მონასტრის, რომელიც, მისი თქმით, ქალაქის ჩრდილოეთით მდებარეობს და ბაგრატისგან განსხვავებით იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსს ატარებს.

### დაიკარგეთ მინერალური წყლების კურორტ წყალტუბოში

როგორც სტატიაშია ნათქვამი, ქუთაისიდან ოცი წუთის დაშორებით, წყალტუბოს საბჭოთა დროინდელი, დანგრეული სანატორიუმები მდებარეობს, რომლებიც სქელი ტყის ლანდშაფტშია ჩაფლული.

**„ერთ დროს, აქ მოსკოვიდან, ყოველდღიურად სამი მატარებელი ჩამოდიოდა“** — დასძენს ავტორი.

როგორც რეპორტიორი აღნიშნავს, წყალტუბო ფოტოგრაფის საოცნებო ადგილია. მისივე თქმით, სტალინისთვის აშენებული სანატორიუმის რესტავრაცია სრულად მოხდა.







**„ახლა ამ სამკურნალო წყლებში სტუმრებს მასაჟისა და ტალახის აბანოთი სიამოვნება შეუძლიათ“** — ნათქვამია სტატიაში.

### გამოიკვლიეთ მღვიმეები და ღრმა კანიონები

ჟურნალისტი წერს, რომ წყალტუბოს ჩრდილოეთით პრომეთეს მღვიმე მდებარეობს, სადაც დამთვალიერებელს საოცარი სანახაობა ელოდებათ. მოშიების შემთხვევაში ჟურნალისტი მოგზაურებს წივის ტბაზე გამგზავრებას ურჩევს, სადაც მისი თქმით, ტბის გვერდით თანამედროვე რესტორანი Lake Side სტუმრებს მდინარის პირას კარგ კერძებს სთავაზობს.

სტატიის ავტორის თქმით, აქედან ჩრდილო — დასავლეთით მარტვილის კანიონი მდებარეობს, რომელიც ასევე უამრავ თავგადასავალს სთავაზობს მნახველს.



### მიჰყევით ჩაის ბილიკს გურიაში

ჟურნალისტი წერს, რომ სუბტროპიკული გურია, რომელიც მჭიდროდ ტყიანი ბორცვებითა და ხეობებით არის გარშემორტყმული — ტაილანდს ან შრილანკას მოგაგონებთ, კაკლისა და ხილის ბაღებითა და ჩაის პლანტაციებით.

რეპორტიორი მნახველს ჩაის ტურში მონაწილეობასაც ურჩევს, სადაც ბიო-ჩაის დამზადების მეთოდების სწავლის საშუალება ექნებათ.

ჟურნალისტი ვიზიტორებს გომის მთაზე ასვლასაც ურჩევს.

**„გომის მთა უცნაური და სხვა სამყაროა ღრუბლების თავზე“** — აღნიშნავს ის.

### ჩაყვინთეთ შავ ზღვაში

ავტორი ამბობს, რომ დასავლეთ საქართველოში მოგზაურობა, შავი ზღვის მოუნახულებლად არასრულფასოვანია. როგორც ის წერს, ოზურგეთიდან წვერმაღალას პარკამდე უნდა წახვიდეთ, სადაც მოინახულებთ, ცნობილი ქართველი მილიარდერის პროექტს, სადაც ის ძველ და მაღალ ხეებს რგავს.

„Black Sea Arena“-ზე მუსიკალურ პარკში ქართველი კომპოზიტორების მონუმენტების გვერდით, მსოფლიოს მუსიკის ცნობილი სახეების ხილვაც არის შესაძლებელი“ — აღნიშნულია სტატიაში.

ჟურნალისტი მოგზაურებს ბათუმის მონახულებასაც ურჩევს.

### აღმოაჩინეთ სვანეთის ველური სული

ჟურნალისტი სვანეთში მოგზაურობასაც უწევს რეკომენდაციას. როგორც ის ამბობს, ველური ლანდშაფტი და თოვლით დაფარული კავკასიონი საოცარი სანახავია.

„ზუგდიდიდან ენგურის კაშხლიდან მოყოლებული გზა მდინარე ენგურის პირზე, უფრო და უფრო ველური პეიზაჟებით და კავკასიონის თოვლით დაფარული მთებით გზადაგზა შეგხვდებათ“— წერს ავტორი.

### გაოცდით ქართული კერძებით, ღვინითა და სტუმართმოყვარეობით

როგორც ჟურნალისტი წერს, საქართველო ცნობილია სტუმართმოყვარეობით, უძველესი ღვინითა და გემრიელი კერძებით. მისი თქმით, კერძები ტრადიციულად მზადდება. „რეპორტიორი“ საქართველოში მოგზაურებს, ლობიოს, სალათის, ხაჭაპურის და ხინკლის დაგემოვნებისკენ მოუწოდებს.

BM.GE

---

**ლურჯი იუმორი**

# ვალები ჩვენი სიმდიდრეა...

**სენსაცია თუ გიყვართ, გაზეთსა და ტელევიზორს უნდა მიეძალოთ. მათი წყალობით, საქართველოს საბჭოთა მარწუხებიდან გამოხსნის პირველ ხანებში ისეთი რამ მოვისმინე, ყურებს არ დავუჯერე. თურმე, ნუ იტყვით და, მაშინ ჩვენს მტერ-მოყვარე რუსეთს სურვილი ჰქონია, ჩვენი კუთვნილი ვალი (ლაპარაკია ყოფილი საბჭოთა იმპერიის ვალებზე, საიდანაც წილი გვეკუთვნოდა) მიეთვისებინა, მერე გაეყიდა და მილიარდები გაეკეთებინა.**

ეს რომ გავიგე, ჯერ მაგრად გადავიხარხარე, მერე კი მაგრადაც გავბრაზდი: კარგი რა, თუ ძმა ხარ, თანაც უფროსი, იქით აფხაზეთს ეპატრონები, აქეთ სამხრეთ ოსეთს (ოკუპაციამდელზე ვამბობ), ჩვენს წილ ვალს მაინც ნუღარ გადააჯდები! ვალია, შე მამაცხონებულო, მოგება ხომ არა, რომ დახარბდე. რა გენაღვლება, მოგვიგდე ჩვენი ვალი და თუ ვერ გავისტუმრებთ, თავადვე დავზარალდებით.

არაო, გაჰყვიროდნენ მაშინ ჩვენი პატრიოტი ექსპერტები, რუსეთი ჩვენს ვალს რომ ისაკუთრებს, სწორედ ამით ვზარალდებითო, საერთაშორისო ბაზარზე ვალებს ისეთი ფასი ადევს, თუ კეთილმოსურნე მეზობელს ძალით არ გამოვგლიჯეთ, დავიღუპებითო. ეგ კი არა, ჩვენს მთავრობას გონიერება რომ გამოეჩინა და ჩვენი წილი ვალები მაშინვე გაეყიდა, ყველანაირ კრიზისს გადავრჩებოდითო.

მოდი და ამის მერე დაინდე საკუთარი მთავრობა, არც დავინდობდი, მაგრამ ჩვენი დამოუკიდებლობის წლებში მან ამ მიმართებით ისე მუხლჩაუხრელად იღვაწა, იმდენი საშინაო და საგარეო ვალები წამოიკიდა, რომ მის სალანძღავად და განსაქიქებლად ენა როგორ მომიტრიალდება. ამ მხრივ, გაწეულ ღვაწლს ვერ დავუკარგავთ ქვეყნის მარჩენალ კომერციულ ბანკებსაც, რომელთაც იზრუნეს და მოსახლეობის უმეტესობა იპოთეკური ვალების ტვირთით გააბედნიერეს.

პირადად მე, სხვის საქმეებში არ ვერევი. სხვას რა ვედავო, ჩემი ვალები რომ დავიანგარიშე, იმდენი აღმომაჩნდა, საქართველოს მთავრობას ძილშიც არ დაესიზმრება. მაგრამ ამას აღარ დაველევი, თუ ვალებს მართლა ასეთი მაზანდა აქვს, ჩავიწყობ პიჯაკის შიგნითა ჯიბეში (გარეთა ჯიბიდან შეიძლება ამომაცალონ), გავალ ქუჩაში, ოკუპირებული აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა გვერდით ჩამოვჯდები და ისეთ ბაზრობას გავაჩაღებ, სტამბოლელ ვაჭრებსაც შეშურდებათ.

ეს მე, მაგრამ რა ქნან სხვებმა? თუ ყველა ჩემნაირი ქუჩაში დადგა სავაჭროდ (ჩვენში ხომ ყოველი მეორე კაცი ვალებითაა გაძეძგილი), მაშინ მარტო დეზერტირების და ელიავას ბაზრების ირგვლივ კი არა, მთელ დედაქალაქში აღარ გაივლება. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, აუცილებელი გახდება თბილისში (და არა მარტო თბილისში) გაიხსნას დამატებით სპეციალიზებული ბაზრობა, სადაც მხოლოდ ვალები გაიყიდება. ვფიქრობ, სხვა ბაზრობებისგან განსხვავებით, მისი აშენება და მომსახურება გაცილებით იაფი დაჯდება, რამეთუ ვალების გადაზიდვა-განთავსებას არც ტრანსპორტი დასჭირდება, არც დახლები და არც მაცივრები.

თუმცა პრობლემებისგან, ალბათ, არც ეს ბაზრობა იქნება დაზღვეული. კერძოდ, ძალიან გაჭირდება იქ შეზიდული ვალების რაოდენობისა და სახეობების დადგენა (ვალი ხომ არაყი ან სიგარეტი არ არის, რომ სააქციზო მარკები დააკრა), რაც კორუფციას უფრო მეტ გალაღების შანსს მისცემს, ხოლო საგადასახადო შემოსავლების სამსახურს ისედაც რთულ საქმიანობას დამატებით პრობლემებს შეუქმნის.

არის სხვა საშიშროებაც. პირველ რიგში, ეს გახლავთ უცხოური კონტრაბანდული ტვირთების (ამ შემთხვევაში კონტრაბანდული ვალების) მოძალება, რაც ბაზარზე არაკონკურენტული გარემოს შექმნას და შიდა ვალების გაუფასურებას გამოიწვევს. გამორიცხული არ არის, რომ ცალკეული წუწკი მოხელეები, მინისტრები, პარლამენტარები, მაკონტროლებლები, რომლებიც მუქთა ფულის კეთებაში გაწაფული არიან, ამჯერადაც არ შეირცხვენენ თავს და ლატაკი მოსახლეობის ვალების ხარჯზე კვლავაც შავი დედლებივით დაკეთდებიან.

რაში ვხედავ გამოსავალს?

თუ გვინდა, ამ პრობლემებს თავი დავაღწიოთ, სასწრაფოდ ვალების უცხოეთის ქვეყნებში ექსპორტი უნდა დავიწყოთ. ვფიქრობ, ამ მხრივ, გარკვეული საბაზრო შეზღუდვების მიუხედავად, საუკეთესო იქნება რუსეთის ბაზარი, სადაც ჩვენს დიდ მეზობლებს შესაძლებლობა მიეცემათ (მათ ეს ისედაც სურდათ), სრულიად კანონიერი გზით და დაუყვედრებლად ჩვენი ვალები მთლიანად შეისყიდონ. ამას მათთვის ვამბობ, თორემ, არანაკლები ბაზარია ამერიკაში, სადაც უცხოელებს თურმე ვალებს სულ ხელიდან სტაცებენ. დარწმუნებული ვარ, ამერიკელები ქართულ ვალებს, ქართულ ღვინოსთან ერთად, გემოს რომ გაუგებენ, გაუსაღებელს ნამცეცსაც კი არ დაგვიტოვებენ.

ასე რომ, ვალების გამო ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევას არავის ვურჩევ. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ვალების ამოუწურავ მარაგს და პლუს ქართველების კვაჭობა-მოხერხებულობას, ეჭვიც არ უნდა შეგვეპაროს, რომ ამ საუკუნეში ვალების ყიდვა-გაყიდვის ბიზნესი, ღვინის და თხილის ბიზნესთან ერთად, ჩვენთვის ყველაზე პერსპექტიული და სარფიანი იქნება.

წარმატება არ მოგვკლებოდეთ ვალების ბიზნესით გამდიდრებულო ჩვენო თანამოქალაქენო!

**ოთარ ხუციშვილი**



◉ რაგბი ჩვენი თამაშია!

# რაუნთრის მოლოდინები



**2019 წლის მსოფლიო თასის დაწყებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება და სარაგბო გამოცემები 20 მონაწილე გუნდის მიზნებსა და შესაძლებლობებს განიხილავენ.**

Rugby365-მა „ბორჯღალოსანთა“ შერკინებას და მის ინგლისელ მწვრთნელ **გრეჰემ რაუნთრის** სპეციალური სტატია მიუძღვნა, რომლის თარგმანსაც ქვევით გთავაზობთ:

შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ საქართველო 2019 წლის მსოფლიო თასს ვერ მოიგებს, თუმცა, მათი შერკინების ინგლისელ მწვრთნელ გრეჰემ რაუნთრის თქმით, ისინი საკუთარი კვალის დატოვებას აპირებენ.

**„ზოგიერთი ადამიანის დაშინება გვინდა“** — ამბობს რაუნთრი AFP-სთან საუბარში და განაგრძობს — **„გვსურს საკუთარი თავი ტოპ-მაგიდასთან წარმოვაჩინოთ.**

**2015 წელს ორი თამაში მოვიგეთ, რითიც წლევანდელ მსოფლიო თასზე თამაში გავინაღდეთ და ახლაც იგივეს გამეორებას ვგეგმავთ. ჯგუფში გვყავს უელსი და ავსტრალია, რომლებთან თამაში ძალიან რთული იქნება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ურუგვაი და ფიჯი უნდა დავამარცხოთ“.**

ნათელია, რომ 3 ოქტომბერს ფიჯისთან გასამართი შეხვედრა ქართველთათვის მსოფლიო თასის ფინალის ტოლფასი იქნება:

**„ადვილი არ იქნება. ფიჯიმ ივლისში ახალზელანდიელი „მაორები“ დაამარცხა“** — ამბობს რაუნთრი.

გუნდის მეოთხედფინალში გამოჩენა ნაკლებად რეალური ჩანს, თუმცა, უნდა ველოდოთ ქართველი ფორვარდების ალღუმს და მორიგ წინგადადგმულ ნაბიჯს.

შარშან სექტემბერში რაუნთრის საქართველოს ნაკრებში დანიშვნა მოულოდნელობა იყო. ინგლისისა და „ლესთერის“ ყოფილ მორაგბეს, 1995 და 1999 წლების მსოფლიო თასის მონაწილეს 7-წლიანი წარმატებული სამწვრთნელო კარიერა ჰქონდა ინგლისის ნაკრებში, ასევე „ჰარლექუინსსა“ და „ლესთერში“.

**„სექტემბერში მივიღე შეთავაზება, რის შემდეგაც მილტონ ჰეიგთან ერთად ვიჯექი რიჩმონდის სასტუმროში, დანარჩენი კი ისტორიაა.**

**მან წარმომიდგინა თამაშის ძალიან კარგი სტრუქტურა, სისტემა და რწმენა. მილტონმა ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადაიყვანა და საქართველოს ნაკრებში მთელი ცხოვრება ჩადო. სისტემა, რომელიც მან 7 წლის წინ შეიმუშავა, პროფესიონალურია, იმ პირობებისა და მიღწევების გათვალისწინებით, რომელთაც ტიერ 1-ის ქვეყნებში წააწყდებით“.**

კონტრაქტის გაფორმებისთანავე რაუნთრი საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც ტოპ 14-ში იმდენივე ქართველი მორკინალი თამაშობს, რამდენი ფიჯელი უკანახაზელიცაა.

**„რაგბი მათი თამაშია“** — ამბობს რაუნთრი, რომელიც მსოფლიო თასის დასრულების შემდეგ ირლანდიურ „მანსთერს“ შეუერთდება — **„ქართველები რაგბისთვის არიან შექმნილი. ეს კონტაქტური სპორტია. მათ ასევე უყვართ ჭიდაობა. ქართველებს მოსწონთ ძალისმიერი, ფიზიკური ორთაბრძოლები და მათთან მუშაობა ადვილია. ქართველები გამორჩეულად კარგი ადამიანები არიან. იქაური გარემო განსხვავდება მათგან, რა გარემოშიც აქამდე მიმუშავია. მორიდებული, შრომისმოყვარე ხალხია და აკეთებენ ყველაფერს, რასაც სთხოვ“.**

რაგბის სამყარო მიჩვეულია მძლავრი ქართველი ბურჯების ხილვას, თუმცა, რაუნთრი განსაკუთრებით მოხიბლულია ახალგაზრდა და დინამიური მესამეხაზელებით:

**„ბექა გორგაძეს „ბორდოში“ შესანიშნავი სეზონი ჰქონდა. ის გამორჩეულად ნიჭიერი 8 ნომერია. გარდა ამისა, გვყავს კიდევ ერთი ბექა (სალინაძე), რომელიც „ორიაკში“ თამაშობს და ოთარ გიორგაძე „ბრივიდან“, რომელიც შერკინების ფეთქებადი მესამეხაზელია“.**

ახალგაზრდა თავდამსხმელებს იმედს მისცემს გუნდში მამუკა გორგოძის ყოფნა, 35 წლის ვარსკვლავის, რომელიც საერთაშორისო პენსიიდან იმის გამო დაბრუნდა, რომ პრობლემები აღმოფხვრას.

რაუნთრი და ჰეიგი იმედოვნებენ, რომ გორგოძე ახალგაზრდებს მსოფლიო თასზე ინტენსივობის გაზრდაში დაეხმარება:

**„მსოფლიო თასი წნეხია. მოლოდინებს მოედანზე გამართლება უნდა და საკუთარი თავისგან მაქსიმუმი უნდა მიიღო. ასევე მნიშვნელოვანია სიამოვნება. მისი მიღება იშვიათადაა შესაძლებელი და ძალიან მალე სრულდება“.**

**კობა კობახიძე**

◉ სუმო

# კანონი კანონია



**აკი ბაშოს მეოთხე საშეჯიბრო დღე კვლავ წარუმატებელი გამოდგა ტოჩინოშინისთვის, რომელიც წლის მეხუთე სუპერტურნირზე აბის დაუპირისპირდა და მესამე მარცხი განიცადა.**

ტოჩიმ აბის დოჰიოდან გადაგდება მოახერხა, თუმცა, მსაჯების გადაწყვეტილებით, ეს ყველაფერი წესების დარღვევით მოხდა. ჩვენებურმა მეტოქეს თმაში მოქაჩა და დოჰიოდან ისე გადააგდო, რის გამოც მას წაგება ჩაუთვალეს.

ეს აღნიშნული წყვილის მე-6 დაპირისპირება გახლდათ და ამ მხრივ მოგება-წაგების ბალანსი გათანაბრდა — 3:3. შეგახსენებთ, რომ შემოდგომის სუპერტურნირზე ჩვენებური მუხლის ტრავმით ასპარეზობს და საწყის 4 შეხვედრაში მხოლოდ 1 გამარჯვება მოიპოვა.

ტოჩის ოძეკის ტიტულის შესანარჩუნებლად დარჩენილი 11 ორთაბრძოლიდან მინიმუმ 7-ის მოგება მართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის პრესტიჟულ ტიტულს დაკარგავს.

ტოჩინოშინის მომდევნო მეტოქე მესამე მაეგაშირა ტომოკაძე იქნება, რომელსაც მიმდინარე ბაშოზე 2 მოგების წილ 2 მარცხი აქვს. რაც შეეხება ურთიერთშეხვედრებს, ეს მათი პირველი დაპირისპირება იქნება.

**გიორგი შოთაძე**

◉ კრიმინალი

# რაც დათესა...



**ბრაზილიელ ს დიეგო მატოსს გარიგებულ მატჩებში მონაწილეობისთვის ჩოგბურთის თამაში სამუდამოდ აეკრძალა. აღნიშნულ ინფორმაციას** Tennis Integrity **Unit-ის ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.**

წყაროს ცნობით, გამოძიების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მან ათი შეხვედრის ანგარიშზე იქონია გავლენა. გავრცელებული ინფორმაციით, ჯარიმის სახით 125 000 ამერიკული დოლარის გადახდაც დაეკისრა.

სამხრეთამერიკელი ჩოგბურთელი საერთაშორისო რეიტინგში წყვილთა შორის 374-ე ნომერია, ხოლო ერთეულთა თანრიგში — 1178-ე.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ქომაგის ტრიბუნა

# გრანტები ჩქარა!..

**ირაკლი (იბო) დოლიძეს კარგად იცნობს ქართული ფეხბურთის ქომაგი. მიხეილ მესხისა და ნოდარ ახალკაცის მეგობარი, ორი წიგნის ავტორი დიღმის ბაზასთან ცხოვრობდა და მშვენივრადაა ჩახედული სპორტის საყვარელის ახეობის, უფრო კონკრეტულად კი — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შიდა სამზარეულოში. სწორედ ამიტომ ვთავაზობთ მკითხველს მის, შესაძლოა, ზედმეტად მკვეთრი შეფასებებით, მაგრამ მაინც გულისტკივილით გაჯერებული სტრიქონებით აღსავსე წერილს.**

გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, რომ მართლმსაჯულებას ლეგენდარული ფეხბურთელი, უეფას ყოფილი პრეზიდენტი მიშელ პლატინი ვერ დაუძვრა და, დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, ვერც სფფ-ს თავკაცი და პარლამენტარი ლევან კობიაშვილი აარიდებს თავს.

ჩემთვის იგი ტიპიური გრანტიჭამიაა, რადგან ნაცვლად იმისა, რომ ფიფა-უეფადან შემოსული სოლიდური თანხები დანიშნულებისამებრ განკარგოს, კაცმა არ იცის, რაში იხარჯება.

ამ დროს ძალაუნებურად მახსენდება ის დღე, როცა დიდმა ნოდარ ახალკაცმა მორიგი შეხვედრისას ის ფურცელი წამიკითხა, სადაც გარკვეულად ეწერა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო მმართველი სტრუქტურებიდან შემოსული დახმარებები ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე ყველა გუნდისათვის ბურთებისა და სათამაშო ფორმების შესაძენად, ანუ მიზნობრივად აეთვისებინათ, ხოლო დარჩენილი ნაწილით ინფრასტრუქტურა კეთილმოეწყოთ.

ვეკითხები ბატონი ბიძინა ივანიშვილის ახლობლობით ზურგგამაგრებულ დეპუტატსა და სპორტულ ფუნქციონირებს: იცის, რომ გაიოზ ჯეჯელავას მიერ შექმნილ ლეგენდარულ 35-ე სკოლაში, რომელიც მოგვიანებით ვახტანგ რჩეულიშვილს გადაეცა ბაზრის მოსაწყობად და გაპარტახდა, შოთა იამანიძე, მიშა მესხი, ზაურ კალოევი, ავთო ჭკუასელი, მოსე დავარაშვილი და მრავალი სხვა დიდოსტატი აღიზარდა? ან რა უშლის ხელს, რომ აღადგინოს ნიჭიერ ფეხბურთელთა თაობების სამჭედლოდ ცნობილი „სუკონკისა“ და „ნახალოვკის“ ოლიმპიური რეზერვების სკოლის სტადიონები?

დამეთანხმებით, მათი განახლებით საუკეთესო შესაძლებლობა გაჩნდებოდა ბავშვთა მწვრთნელებად იმ ვარსკვლავთა დასასაქმებლად, რომლებიც „უპრაკონოდ“ გაუშვეს ფედერაციიდან მის სათავეში მოსვლისთანავე.

აღნიშნულ შემთხვევაზე საუბრისას როგორ არ გავიხსენო სფფ-ს ყოფილი პრეზიდენტი, ლევან ჟორდანიას ღირსეული შვილი მერაბ ჟორდანია, რომელიც ისე მაფასებდა და ვუყვარდი, რომ დანახვისთანავე მეკითხებოდა — იბო ბიძია, რამეში ხომ არ გჭირდებიო?

თუმცა, რაღაა გასაკვირი, როცა დედაქალაქის მე-9 საჯარო, ნოდარ ახალკაცის მშობლიურ სკოლაში 180 სურათით დამშვენებული სტენდის მოწყობისათვის კუთვნილი გასამრჯელო რომ მოვითხოვე, პენსიონერმა კაცმა, იცით, კობიაშვილისგან რა პასუხი მივიღე? — ეგ მე არ დამივალებიაო.



არადა, მისმა დირექტორმა, ქალბატონმა მარინა გიგაურმა სიამაყით მითხრა — ამ საშვილიშვილო საქმის გაკეთების შემდეგ ბავშვებმა ისეთი მუხტი მიიღეს, სწავლის დონე საგრძნობლად ამაღლდაო.

**ირაკლი (იბო) დოლიძე**

◉ ინტერნეტიდან

# აზერბაიჯანის მშვენება

**ამ მშვენიერ რუბრიკაში ლამაზმანებს პლანეტის კიდით-კიდემდე რომ ვუთვალთვალებთ, ჩვენი ქვეყნის სამეზობლომ რა დააშავა? არც არაფერი! მით უმეტეს, რომ აგერ, სულ ახლოსმდებარე აზერბაიჯანში, ისეთი ხანუმები დაგოგმანობენ — თქვენი მოწონებული!**

ამჯერად წარმოგიდგენთ არა მხოლოდ იქაური სპორტის, კულტურისა და პოლიტიკის, არამედ მთელი სახელმწიფოს თილისმას, ყოფილ “მის აზერბაიჯანს“ გულნარა ალიმურადოვას, რომელიც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელ კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სასურველი ასულია.

მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოს უპირველესი ლამაზმანის წოდება ქალბატონმა გულნარამ უკვე შორეულ 2010 წელს მოიპოვა, წლების გასვლის შემდეგ მისი პოპულარობა კიდევ უფრო მეტად გაიზარდა და, ფაქტობრივად, ტანისამოსის ბრენდი არ დარჩა, რომელსაც ეს მშვენიერი გოგონა არ არეკლამებდეს. ამ ბოლო დროს მან მსახიობობაც სცადა და, როგორც ამბობენ, გულნარა ხანუმს ეს საქმეც ძალიან კარგად გამოსდის!



**ბეჟან დოლიძე**

# ხანგოშვილის მკვლელობა რუსეთის მიერ იყო მართული



აშშ-ის ოფიციალური პირების თქმით, ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობა რუსეთის მიერ იყო მართული, – ამ სათაურით სტატიას „ვოლ სტრიტ ჯორნალი“ აქვეყნებს.

**„აშშ-ის ოფიციალური პირები მიიჩნევენ, რომ გერმანიაში ყოფილი ჩეჩენი მეამბოხის მკვლელობის უკან რუსეთი დგას, რაც აღვივებს შეშფოთებას, რომ მოსკოვი საზღვარგარეთ მყოფი სავარაუდო მტრების წინააღმდეგ კამპანიას აძლიერებს“,** – ნათქვამია პუბლიკაციაში და სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც აშშ-ის მთავრობამ ამ მკვლელობასთან რუსეთი დააკავშირა.

ჟურნალისტების ცნობით, დანაშაულის გამოძიებაში ამ ეტაპზე სამი ქვეყანა: გერმანია, პოლონეთი და საფრანგეთი არიან ჩართულები, თუმცა გერმანიის მთავრობა დუმს, რის გამოც ოპონენტები ხელისუფლების წევრებს მკაცრად აკრიტიკებენ და აცხადებენ, რომ ბერლინს რუსეთთან კონფრონტაციისგან თავის არიდება სურს.

როგორც ავტორი აღნიშნავს, მან საკითხის კომენტირება ბერლინის პროკურატურას და საგარეო დაზვერვის სამსახურსაც სთხოვა, უარი მიიღო, თუმცა ირწმუნება, რომ ეს უკანასკნელი გამოძიებაშია ჩართული.

გავლენიანი ამერიკული გამოცემა წერს, 40 წლის საქართველოს მოქალაქის ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობა ერთ-ერთი უკანასკნელია იმ თავდასხმებს შორის, რომელთა მსხვერპლი კრემლის ანტაგონისტები გახდნენ. ჟურნალისტი იხსენებს სკრიპალების საქმეს. ის ასევე აღნიშნავს, რომ საზღვარგარეთ მკვლელობები ყველაზე ხშირად ფედერალური მთავრობისა ან ჩეჩნეთის ლიდერ რამზან კადიროვის მიერ არის კოორდინირებული და მართული.

**„არსებობს ეჭვი, რომ ხანგოშვილის მკვლელობა არა მოსკოვმა, არამედ ჩეჩნეთმა დაუკვეთა, თუმცა დანაშაული ორგანიზებული იყო რუსული სპეცსამსახურების დახმარებით“,** – წერს „უოლ სტრიტ ჯორნალი“.

როგორც სტატიაშია ნათქვამი, ხანგოშვილი წლების განმავლობაში არაფორმალურად იყო დასაქმებული საქართველოს კონტრდაზვერვის სამსახურში, იყო სპეციალიზებული რუსეთზე. ავტორი იხსენებს, რომ წარსულში ხანგოშვილზე თავდასხმა რამდენჯერმე განხორციელდა, რის გამოც ჯერ უკრაინაში, შემდეგ კი გერმანიაში გაემგზავრა.

**ცნობისთვის: 23 აგვისტოს გერმანიაში საქართველოს მოქალაქე, 40 წლის ზელიმხან ხანგოშვილი მოკლეს. მას მეჩეთთან „ქილერმა“ ესროლა.**

**„ვოლ სტრიტ ჯორნალი“**

## სანთელი



**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგის, ჩვენი აკადემიის ერთგული მეგობრისა და რედკოლეგიის წევრის, უსათნოესი პიროვნების, პროფესორ**

**ნოდარ ხადურის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, მეგობრებსა და კოლეგებს.**

**აკადემიის სახელით:**

**თეიმურაზ ბაბუნაშვილი,**

**საქართველოს პარლამენტართა პალატა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა 2012-2016 წწ. მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი**

**ნოდარ ხადური**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

**პალატის სახელით კობა ამირხანაშვილი**



## „მოით, მოქუჩდით, ამბავსავწერ ადრინდელსა“

### რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი

# ვერის უბანი

„... კოჟორის ჩრდილო კერძ არს სკვრეთის მდინარე, აწ წოდებული ვერე ... ერთვის მტკუარს დასავლიდამ ... შესართავსა ზედა არს ლურჯი მონასტერი ...“
– ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.)

და როგორც მკითხველი მიმიხვდა, დღეს ვერის უბანზე გიამბობთ.

ცნობილი სიმღერით დავიწყებ და გეტყვით – Однажды русский генерал, вдол по Кавказу проезжал...

გენერალი იქით იყოს და აქ, ვერეს ხეობაში რაღმე სული დალია თვით რუსეთის დიდმა იმპერატორმა 41 წლის ასაკში, მაგრამ ამის შესახებ მოგვიანებით გიამბობთ და მანამდე კი ინტრიგას გიტოვებთ.



თავდაპირველად გეტყვით, რომ სიტყვა „ვერე“ XIII საუკუნის წყაროებში გვხვდება პირველად. XVI საუკუნეში მეფე სიმონ I-ის (ქართლის მეფე) მიერ გაცემულ სიგელში „ვერისხევი“ მოხსენიებულია როგორც საგაბაშვილო მამული. ვერისხევზე ოდითგანვე გადიოდა საქარავნო „დიღმის გზა“, რომელსაც არასდროს დაუკარგავს თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა და ამიტომაც იყო, რომ XVIII საუკუნეში მას საგანგებოდ იცავდა „ვერის ხევის ყარაული“.

„... ტფილისის ჩრდილოთ არს ლურჯ-მონასტერი ... უგუმბათო ...“ – ჰოდა, ამბობენ, VII საუკუნეეში მამათა მონასტერი აშენებულა და “... თუ შემორჩენილი ძველი ნაშთებით ვიმსჯელებთ, გაუქმებული მამათა მონასტერი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ლურჯ მონასტერს“ ეძახის, იკავებდა უზარმაზარ ტერიტორიას“ – ამას ვკითხულობთ 1896 წლის „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბეში“ და მკითხველს აქვე ვეტყვი, რომ ლურჯ მონასტერს ცალკე თავს დავუთმობ, მანამდე კი ვერის ხიდზე ჩაგასეირნებთ, ვირტუალურად, რა თქმა უნდა.

ხიდი აქ, თავდაპირველად, XIII საუკუნეში მეფე დემეტრე თავდადებულს აუშენებია და ლურჯი მონასტრისთვის შეუწირავს. ვახუშტი ბატონიშვილის ტფილისის გეგმის მიხედვით ( 1735 წ.) „... ვერასა ზედა არს ხიდი დიდი ქვითკირისა“ ანუ ძველის ადგილზე ქვითკირის ხიდი, როსტომ მეფის ბრძანებით, ზარაფთუხუცესმა ხოჯა ბეჰბუდამ ააგო XVII საუკუნეში და შესაბამისად, ხიდს „ბაჰბუდას ხიდს“ უწოდებდნენ. შემდგომში ხიდს „ჯვრის ხიდი“ დაერქმევა (ეს სახელი დაიმახსოვრეთ), მოგვიანებით კი – „ვერის ხიდი“, რომელიც გმირთა მოედნის რეკონსტრუქციას შეეწირება (1932 წ.), ხოლო 1981 წელს ეს ისტორიული ხიდი საბოლოოდ გაქრება ჩვენი თბილის-ქალაქის რუკიდან ...

ვერეს ტერიტორიის განაშენიანება კი XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყება, მაგრამ იმ დახრილ ადგილს, სადაც მდ. ვერე საუკუნეებიდან მოყოლებული „ერთვის მტკუარს დასავლიდამ“, განაშენიანება არ შეეხება სატივეს მიკროუბნისა (დღ. „ლაგუნა-ვერეს“ მიმდ. ტერიტორია) და სასაფლაოს გამო (დღ. „ვერის ბაღი“). სწორედ, სატივეს უბანში იყო მორსაზიდის შესახვევი (დღ. კოსტავას I შესახვევი), საიდანაც შიდა ქართლიდან მდ. მტკვრით ტივებით ჩამოზიდულ ბოსტნეულს, ხილს, პირუტყვსა თუ მორებს ისევ ტივებითვე ეზიდებოდნენ ტფილისს.

ჰო, არ გამომრჩეს ვერეს ცნობილი უბნები – გაბაანთხევი, რომელიც, როგორც გითხარით, გაბაშვილების მამულები გახლდათ; ვარდისუბანი – და ალბათ ხვდებით, რომ აქ ვარდისა და ასკილის ბუჩქები მრავლად ხარობდა და, რა თქმა უნდა, ცნობილი სემიონოვკა, რომელსაც სახელწოდება XIX-XX სს. მიჯნაზე ეწოდა, ძირითადად, რუსი სამსახურმოხდილი სამხედროების დასახლებისა და გამო. გაბაანთხევსა და სატივეს უბანს შორის მდებარე ვერის ძველი სასაფლაოს ადგილზე კი, 1898 წელს გაშენდება ვერის ბაღი, რის შემდეგ სწორედ სემიონოვკაზე დაარსდება ვერის ახალი სასაფლაო.

ვერის ბაღი ვახსენე და ერთ ძველ ამბავს გიამბობთ – თურმე აქ, ვერის ბაღის ერთ-ერთ რესტორანში, მოჭიდავე ქალებს დიდი ქეიფი გაუმართავთ. ქეიფს კი ჭიდაობა მოჰყოლია და ერთი მოჭიდავე ქალი ისე შეზარხოშებულა „ძაჰლა წაუღია“ („ტვინი წაუღია“) – თუ ყოჩაღები ხართ მეჭიდავეთო. ვინმე არლანჩიკ ბაბაჭუა დათანხმებია და ამ ბაბაჭუას ქალი ძირს ისე დაუცია, გვერდები სულ ერთიანად მიულეწ-მოულეწია. ჰოდა, ამბობენ, ქალი რომელიღაც აქტიორს ყვავილებიანი დროგით წაუსვენებია.

იმ ვერაზე კი, რომელზეც ვახუშტი წერდა „ვერა... წყნეთამდე წალკოტით შემკული“ მშენებლობები XIX-XX სს. ინტენსიურად დაიწყება და XX საუკუნის დასაწყისისთვის ვერა ვარაზის ხევის ზღვარს მიუახლოვდება, ზღვარს მალევე გადაჰკვეთს და საბოლოოდ ვერა ვაკეში გაიჭრება ...

ბოლოს კი იმ ზემოთ ხსენებულ ინტრიგას ვუბრუნდები და შეგახსენებთ, ვერის ხიდს ერთ დროს „ჯვრის ხიდი“ რომ ერქვა, ხოლო ქუჩის იმ მონაკვეთს კი, სადაც ქალაქს დღემდე შემორჩა აბრეშუმის საქსოვის ყოფილი ფაბრიკა – „ჯვრის ქუჩა“. აქ, ქალაქის ამ გასასვლელთან, 1846 წელს თუჯის დიდი ჯვარი აღუმართავთ წარწერით – „Живый вь помощи Вышняго, вь крове Бога небеснаго водворится“. მოკლედ, ქუჩისა და ხიდის სახელი ამ პერიოდიდან მომდინარეობს და აი, რატომ – თურმე, 1837 წლის 12 ოქტომბრის წვიმიან დღეს, რუსეთის დიდი იმპერატორი ნიკოლოზ I ტფილისს სწორედ ამ გზით ტოვებდა, როცა მეფის ეტლი მოსახვევში გადატრიალებულა და ეს ჩვენი ნიკოლოზა ვერის ხევში პირდაპირ თავით გადაჩეხილა. ამბობენ, ძლივს ამოუყვანიათო ცოცხალი, თლათ ტალახიანიო. ჰოდა, იმასაც ამბობენ, რომ სასწაულმა გადაარჩინაო, მაააშ...



# სუფრის ზეიმი საქართველოში

**სრული ზეიმი საქართველოში — ასე მოიხსენიებენ ევროპელი კულინარიის თემით დაინტერესებული მწერლები ქართულ სუფრას და ცნობილ გამოცემა** Guardian-**ში აღწერენ ქართული კერძებით მიღებულ დაუვიწყარ გამოცდილებას. ევროპელი მოგზაურებისთვის განსაკუთრებით საინტერესო ქართული სუფრის სრულად გასაცნობად** Baia'wine **— ბაიას ღვინო აღმოჩნდა, რომელიც ქუთაისთან ახლოს მდებარეობს.**

**„ქართული „სუფრა“ იწყება მაშინ, როდესაც შენს წინ უამრავი სახლში დამზადებული კერძი იშლება. კერძები შეხამებულია ადგილობრივ ღვინოსთან, რომელსაც ბაია თავად ამზადებს. ის მესამე თაობის მეღვინეა, რომელმაც 2015 წელს თავისი ღვინის წარმოება დაიწყო. აღსანიშნავია, რომ 22 წლის გოგონა 8000 წლის წინანდელ ტექნოლოგიას იყენებს ღვინის დასამზადებლად. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხაჭაპურზე (ყველიანი ცომი), სოფლის ქათამზე, რომელიც ტყემალში მზადდება, ლობიოსა და ბაჟეზე (საქართველოში ცნობილი ნიგვზის საწებელი), თითებს ჩაიკვნეტთ და აფეთქებისთვის იქნებით მზად. ნამდვილად დაუვიწყარი გამოცდილებაა.“ —** ნათქვამია



Guardian-ის სტატიაში.

ფესტივალები და გამოფენები, სენდვიჩები და ზღვის პროდუქტები ... კულინარიის თემით დაინტერესებულმა მწერლებმა მსოფლიოს მასშტაბით ფავორიტი სამზარეულოები და კერძები გააერთიანეს. სიაში პირველ ადგილს ესპანეთის ქალაქ გრანადაში ყოველწლიური შემოდგომის ხილის ფესტივალი იკავებს. Fuente de las Batallas fountain ქალაქის ცენტრში ივსება ხილით სავსე დახლებითა და ადგილობრივი ფერმერებით. აქაური ბროწეული და კენკრა სექტემბრის დასაწყისში სხვა სეზონურ ხილთან ფესტივალის ფარგლებში უხვად იყიდება.

ასევე საუბარია საფრანგეთის ქალაქ ნიმესის ბარ რესტორანზე, სადაც მენიუ ყოველდღე იცვლება. შეფმა ემანუელ ლებლემ 25-ადგილიანი ბარი 2015 წელს გახსნა. ადგილობრივ ბაზარზე შეძენილი პროდუქტებით რესტორმანმა რამდენიმე კერძი კლასიკად აქცია და კულინარიული ბლოგერების მოწონებაც დაიმსახურა.

Miranda do Dour-**ის კერძების ფესტივალი პორტუგალიაში, ხამანწკების საფარი დანიაში, ნაყინის ფანტასტიკის სამყარო ესპანეთში, ლუდი და ხამანწკები ირლანდიაში, არქტიკული კიბორჩხალები ნორვეგიიდან, კულინარიის გაკვეთილები ტოსკანაში** — ეს ყველაფერი ევროპის დამახასიათებელ მთავარ გასტრონომიულ ღირსებებად დასახელდა, რა თქმა უნდა, ქართულ სუფრასთან ერთად, რომელიც საპატიო მესამე ადგილს იკავებს.

**მარიამ მორგოშია**

The Guardian.com

# ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალი დასრულდა

**გალა კონცერტზე, რომლითაც ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალი დასრულდა, ახალგაზრდა ვირტუოზებმა მსოფლიო კლასიკოსების ნაწარმოებები შეასრულეს.**

კონცერტს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი დაესწრო. **„ეს იყო არაჩვეულებრივი კონცერტი ნიჭიერი ახალგაზრდების მონაწილეობით. ეს ფესტივალი მნიშვნელოვანია ბათუმისა და სრულიად საქართველოსათვის. ჩვენს ახალგაზრდებს ეძლევათ შანსი, გავიდნენ საზღვარგარეთ, ისწავლონ ახალი მეთოდებით ევროპაში, ეზიარონ თანამედროვე კულტურას და ჩამოიტანონ ის საქართველოში. ეს მათთვის ძალიან დიდი ზრდის შანსია“,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.



ფესტივალი პირველ სექტემბერს დაიწყო. ფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა კულტურული ღონისძიება გაიმართა, მათ შორის წარმოშობით ქართველი, საფრანგეთში მოღვაწე ცნობილი მხატვრის ანრი მაჭავარიანის გამოფენა, გურამ ოდიშარიას პოეზიის საღამო.

მოეწყო ახალგაზრდული Art-ბანაკიც. ფესტივალის ფარგლებში ასევე ჩატარდა ელისო ბოლქვაძის კონცერტები ღია ცის ქვეშ ზუგდიდში, დადიანების სასახლის ეზოში და ბათუმის ბულვარში.



# ესპანელი ჟურნალისტები აჭარაში

**აჭარაში უცხოელი ჟურნალისტების მოწვევა გრძელდება. ამჟამად, რეგიონში მოგზაურობის შესახებ სტატიებსა და რეპოსტაჟებს ესპანელი ჟურნალისტები ამზადებენ. ქალაქის ძირითადი ტურისტული ღირსშესაიშნაობების დათვალიერების შემდეგ ისინი ბათუმის ბოტანიკურ ბაღსა და მთიან აჭარას ეწვევიან.**

წელს, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით რეგიონის სამთო და საზღვაო ტურისტული პროდუქტების შესახებ რეპორტაჟები, სტატიები და ბლოგები მეზობელი ქვეყნების გარდა ისრაელში, ბრიტანეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ლიეტუვაში, ლატვიასა და ესტონეთში გამოქვეყნდა. აჭარას ვრცელი სტატიები მიუძღვნა ისეთმა ცნობილმა გამოცემებმა, როგორებიცაა Vogue, „კოსმოპოლიტანი“, „ფორბსი“, Emerging Europe. საერთაშორისო ტელეკომპანია „ევრონიუსი“-მა კი ბათუმზე საინტერესო რეპორტაჟი მოამზადა.

ჯამში, მიმდინარე წელს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით რეგიონში 400-მდე უცხოელმა ჟურნალისტმა და ტურისტული კომპანიის წარმომადგენელმა იმოგზაურა.

# საქართველო კონფლიქტებით კი არა, კულტურით უნდა გაიცნოთ!

**წინანდლის** ფესტივალი — შესანიშნავი ვიტრინა საქართველოსთვის, — ამ სათაურით „ეუ რეპორტერი“ (Eureporter) სტატიას აქვეყნებს. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ „საქართველოს უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა აქვს, რაც დღეს მის მიმზიდველობას ზრდის“.

**„ქართული ღვინო ცნობილი იყო მთელ მსოფლიოში და ითვლება, რომ ღვინის კულტურა, რომაულ პერიოდამდე, საქართველოში გაჩნდა. წინანდლის სასახლეში მაღალი ხარისხის ღვინოს მეშვიდე საუკუნიდან წურავდნენ, ის მდებარეობს საქართველოში, ღვინის რეგიონად წოდებულ კახეთის გულში. ეს სასახლე არისტოკრატი ჭავჭავაძეების ოჯახს ეკუთვნოდა, მაგრამ მისი ნამდვილი აღიარება ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება, რომელმაც სასახლე საქართველოს კულტურულ ცენტრად გადააქცია“,** — ნათქვამია სტატიაში.

გამოცემის ცნობით, „სილქ როუდ ჯგუფის“ დამფუძნებელ გიორგი რამიშვილისა და „კუსტო ჯგუფის“ ხელმძღვანელ იერკინ ტატიშევის ინიციტივით, წინანდალის სასახლეში მუსიკალური ფესტივალის ჩატარება გადაწყდა.

ფესტივალის ინაუგურაციას საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც ესწრებოდა.

**„ჩვენ გვინდა, რომ საქართველოს იცნობდნენ არა მხოლოდ კონფლიქტებით და პრობლემებით, არამედ იმით, რაც ნამდვილად ჩვენს სულშია და ესაა კულტურა და მუსიკა“,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

სტატიის ავტორის თქმით, წინანდლის ფესტივალს ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალების კალენდარში განსაკუთრებული ადგილი დაიკავოს და საქართველოს, როგორც კულტურული მიმართულების, სარეკლამო ვიტრინად იქცეს.


ureporter

NEWS | FEATURED VIDEOS | ONLINE TV

ICS | DEFENCE | ECONOMY | ENERGY | ENVIR

Traditional Georgian Cafe

e offer rich coffee and a range of traditional Geor ... abriadze

inandali Festival a wonderful

Stevens | September 10, 2019

er soviet bloc country Georgia has a unique heritage

Tsinandali Festival a wonderful shop

Colin Stevens | September 10, 2019

*Former soviet bloc country Georgia has a unique heritage which is ... appeal. Georgian wine is known for its excellence the world over, a... originated in what is now Georgia in pre-Roman times. Tsinandali i... dates back to the 7th century.*

Tsinandali fine wine

*It fell into disrepair during the Soviet era, but now has a commercia... vision of George Ramishvili, founder and chairman of the Silk Road ... estate as a luxury hotel and tourist destination.*

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5

ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი

სპარტაკ ქობულია

599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გოგიაშვილი

599 53-76-16;

ალეკო ასლანიშვილი

599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაკიძე

514 33-33-24

გამომცემლები:

შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“

რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!**

## უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.9688; ევრო - 3.2784;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6623;
100 რუბლი - 4.5373; თურქული ლირა - 0.5149;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7463;
1000 სომხური დრამი - 6.2174.

## ამინდი 12 სექტემბრისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +9, | დღე | +22 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +7, | დღე | +22 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე | +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე | +30 |
| თბილისი: | ღამე | +13, | დღე | +21 |

## დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge